

# ხობის მოამბე

№17 (7059) * 23 აგვისტო,
სამშაბათი * 2011 წელი.
ფასი 0.50 თეთრი

## გილოცავთ მარიამობის დღესასწაულს, წმინდა მარიამის მადლი გფარავდეთ!

## ბათუმის კულტურისა და ხელოვნების განახლებულ ცენტრში საქართველოს პრეზიდენტი პირველ სპექტაკლს დაესწრო



საქართველოს პრეზიდენტი მეუღლესთან, სანდრა ელისაბედ რულოვსთან ერთად, ბათუმის კულტურისა და ხელოვნების განახლებულ ცენტრში მიუზიკლის „ქეთო და კოტე“ პრემიერას დაესწრო. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, კულტურის ცენტრი რეკორდულად მოკლე დროში გაკეთდა და ქუთაისისა და თბილისის მსგავსად, უკვე ბათუმშიც შესაძლებელია გრანდიოზული საღამოების გამართვა.

ამ ქალაქში მართლაც სასწაული ხდება და ტყუილად გვაკრიტიკებენ, როდესაც ბათუმს ნიცას ან კანს ვადარებთ. არც ნიცაში და არც კანში ასეთი თეატრი ნამდვილად არ არის... როდესაც აქ შემოვდიოდით, ძალიან ბევრი ადგილობრივი მცხოვრები დაგვხვდა, რომლებიც გულთბილად გვესალმებოდნენ. მათ ზუსტად იციან ის, რომ ყველაფერი ხალხისთვის კეთდება, რაც არ იციან ტელევიზიით მოლაპარაკე პოლიტიკოსებმა. ბევრად მეტი კაფეს, ბევრად მეტი, პატარა ბიზნესის გაკეთება შეიძლება და, შესაბამისად, ბევრად მეტი პერსპექტივა გაუჩნდება ამ ხალხს–თქვა მიხეილ სააკაშვილმა.

ყოველივე ეს ძალიან მახარებს, რადგან მართლაც საუკეთესო რამ გაკეთდა და საგულისხმოა, რომ ძალიან კარგად იმუშავა ლევან ვარშალომიძემ, ასევე, მამა-შვილმა ხმალაძეებმა, რომელთა არქიტექტურა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. დღესდღეობით უკვე ყველაფერს ქართველები აშენებენ.

ბათუმის აღმშენებლობის პროცესში ის ადამიანები დასაქმდნენ, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში უმუშევრები იყვნენ.

ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ეს არის ოცნება, რომელიც ნამდვილად სრულდება და გავიმეორებ–ეს ოცნება სრულდება საქართველოს ყველა პატრიოტის გულის გასახარად და მტრის ჯინზე“,–განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

სპექტაკლის პრემიერაზე, მოწვეულ სტუმრებს შორის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და ხელისუფლების წარმომადგენლებიც იყვნენ.

## ილია მეორე: აფხაზი ერი ქართველების გარეშე ვერ გადარჩება



სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთისა და ბიჭვინთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბათუმში ქართული და აფხაზური საზოგადოების წარმომადგებლებს შეხვდა.

„ის კონფლიქტი, რომელიც შეიქმნა ჩვენ შორის, არ არის კონფლიქტი აფხაზებსა და ქართველებს შორის. ეს არის კონფლიქტი იმ ძალასთან, რომელსაც შეშურდა ჩვენი ერთად ყოფნის“,–აღნიშნა პატრიარქმა.

პატრიარქმა იმედი გამოთქვა, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის კონფლიქტი მოგვარდება.

„განშორება აფხაზებსა და ქართველებს შორის საშიშია ორივესთვის. ჩვენ ვჭირდებით ერთმანეთს. აფხაზი ერი ქართველების გარეშე ვერ გადარჩება“,–ბრძანა ილია მეორემ.

### 12 აგვისტოს ხობში საეკლესიო–საერო დღესასწაული „ცოტნეობა“ აღინიშნა



## „ისტორიაში დადიანი როცა გყავს ცოტნე, არაა ცოტა!“

>>>>>>>>>> 3

## რუსული აგრესიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებამ პატივი მიაგო





2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიის დროს დაღუპულთა ხსოვნისათვის პატივის მისაგებად ქალაქ ხობში, 8 აგვისტოს მემორიალთან შეიკრიბნენ და გვირგვინით შეამკეს ხობის მუნიციპალიტეტის ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

>>>>>>>>>> 6

## ხობი გამორჩეული უნდა გახდეს



>>>>>>>>>> 3

## ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღიმართა



ღვთისმშობლის ხარების ტაძრის გუმბათზე ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის კურთხევით, ჯვარი აღიმართა . ჯვარი ეკურთხა ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღეს. მშენებარე ტაძრის გუმბათზე მის აღმართვას დაესწრნენ ხობის ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები, მრევლი, სასულიერო პირები, ხობელი სტუდენტები, მოსწავლე–ახალგაზრდობა. ტაძრის გუმბათზე ჯვრის აღმართვას ესწრებოდა ცნობილი დიზაინერი ლაკო ბუკია უცხოელ სტუმრებთან ერთად. ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა სექტემბრის პირველ რიცხვებში დამთავრდება და ხობის მეგრული სიმღერის საერთაშორისო ფესტივალის დღეებში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი აკურთხებს.

## „სურვილები, რომ რეალობად იქცეს, ბევრი შრომაა საჭირო...“



>>>>>>>>>> 6

## საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი: ყველაფერს საუკეთესოს გავაკეთებთ. ოპოზიციამ რაც უნდა იძახოს, რომ შადრევან პირველი ვარ



„ყველაფერს ყველაზე საუკეთესოს გავაკეთებთ, ოპოზიციამ რაც არ უნდა იძახოს, რომ შადრევან პირველი ვარ",–ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმის განახლებული ოპერის გახსნის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

„ამას წინათ იძახდნენ რატომ ადარებს ბათუმს ნიცას და კანსის. ნიცაში ასეთი თეატრი ნამდვილად არ არის და არც კანში. ბევრი რალაც კეთდება ხალხისთვის. აქ რომ მოვდიოდით ხალხი დაგვხვდა, გვიღიმოდა და ტაშს გვიკრავდა და რადგან ამ ხლხმა ზუსტად იცის, რაც არ იცის ტრელევიზორით მოლაპარაკე პოლიტიკოსებმა",–განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა ასევე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე და ბათუმის ოპერის არქიტექტორები მამა-შვილი ხმალადძეები შეაქო და აღნიშნა, რომ ადრე ბათუმში მშენებლობაზე თუ დასქმებულთა 80% იყო, ახლა მთლიანად ქართველები არიან.

„ესეც არის მიღწევა. ეს ნიშნავს, რომ ყველაზე მაგრად ვისწავლეთ მუშაობა, მაგარი კვალფიციური სპეციალისტები გვყავს, რომლებიც ათწლეულების მანძილზე არ იყვნენ დასაქმებულები",–აღნიშნა სააკაშვილმა და აქვე დასძინა, რომ ის რაც ბათუმში ხდება წინ გადადგმული ნაბიჯია.

„ჩვენ საკმარისად ვიყავით მაჩანჩალები, უბედურები, საკმარისად ვიყრიდით თავზე ნაცარს, საკმარისად გვარწმუნებდნენ, რომ თქვენ ხართ მათხოვრები, ჩამორჩენილები, გონებაჩლუნგები, ნურას უკაცრავად! ყველაფერს გავაკეთებთ ყველაზე უკეთესად რამდენიც არ უნდა მეძახოს ოპოზიციამ, რომ მე ვარ შადრევან პირველი", - აღნიშნა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

„ჯი–ეიჩ–ენი"

## „ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც აფხაზებს განადგურებისგან იხსნის, საქართველოა"

აფხაზ სეპარატისტთა ე.წ საპრეზიდენტო არჩევნებს ქართველი დეპუტატები არაკანონიერად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ვინც არ უნდა გახდეს აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი, რეალურად, არაფერი შეიცვლება და ნებისმიერი მათგანი რუსეთის მარიონეტი იქნება.

როგორც „პრესა.ჯი"-ს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელმა, შოთა მალაშხიამ განუცხადა, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატებთან დაკავშირებით, კლანებს შორის ჭიდილი როგორც აფხაზეთში, ასევე მოსკოვში მიმდინარეობს. თუმცა, კრემლში ჯერ ერთსულოვნად არცერთ კანდიდატთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულნი არ არიან. დეპუტატის თქმით, ძნელია, ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, საარჩევნო პროცესი ეწოდოს.

„ადგილი აქვს კლანებს შორის დაპირისპირებას, როგორც აფხაზეთში, ასევე, მის გარეთ, კერძოდ, მოსკოვში. თითოეული კანდიდატის უკან კრემლში მათი ლობისტური ჯგუფი დგას და როგორც ჩანს, დაპირისპირება ამ დაჯგუფებებს შორისაც მიმდინარეობს",–განუცხადა „პრესა.ჯის" მალაშხიამ.

ქართველი დეპუტატი თენგიზ კიტოვანის მიერ გაზეთ „მასკოვსკაია პრავდისთვის" მიცემულ ინტერვიუსაც ეხმაურება, სადაც კიტოვანი ალექსანდრე ანქვაბს ბრალს 1992-1993 წლებში ქართულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში სდებს.

მალაშხიას შეფასებით, კიტოვანმა, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელია, ანქვაბთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებებით, ერთ-ერთი რუსული დაჯგუფების დაკვეთა შეასრულა.

„კიტოვანმა კრემლის იმ დაჯგუფების ინტერესები გაახმოვანა, რომელსაც აფხაზეთში ანქვაბის გაპრეზიდენტება არ სურს. თუმცა, ღმერთმა იცის, კიტოვანი რა თამაშს თამაშობს. ცვლილებები დამოკიდებულია არა ანქვაბზე, შამბაზე ან რომელიმე სხვა სეპარატისტ ლიდერზე, არამედ მოლაპარაკებებზე და მთავარი ღირებულებითი საკითხების გადაწყვეტაზე"–აღნიშნა მალაშხიამ.



ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანი დარწმუნებულია, რომ აფხაზების ინტერესების გამტარებელი ვერცერთი პრეზიდენტი ვერ იქნება, რადგან აფხაზური პოლიტიკა არ არსებობს, „აფხაზური პოლიტიკა" რუსეთის პირდაპირი დირექტივის შესრულებაა და რუსეთისგან შექმნილ ყველანაირ ვითარებას ვინც უკეთესად მოერგება, სეპარატისტთა ლიდერი ის გახდება.

„ქრისტიან-დემოკრატის" თქმით, აფხაზეთში, სხვა დანარჩენ ერებთან მიმართებაში, თავად აფხაზები უკვე უმცირესობაში არიან. შესაბამისად, ეს დიასპორები, რომლებიც ერთად აღებული უფრო მეტნი არიან, ვიდრე აფხაზები, ბუნებრივად, იმ ინტერესს გააატარებენ, რომელიც ანტიაფხაზურია და ეს აფხაზებმა უნდა იცოდნენ.

„მაგალითად, იქ მცხოვრები სომეხი მოქალაქეებისთვის ცნება „აფხაზური მიწა აფხაზი მოქალაქეებისთვის" არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. ანუ, ისინი თანახმანი იქნებიან, ისეთ კანდიდატს მისცენ ხმა, რომელიც პირდაპირ რუსეთის გავლენის ქვეშ არის და რუსეთის ინტერესების გამტარებელია, იქნება ეს ანქვაბი, შამბა თუ ხაჯიმბა. უპირველესად, აფხაზებმა უნდა დაინახონ, რომ ისინი აფხაზეთში საკუთარი ერის ინტერესებს ვერ გაატარებენ და დედამიწაზე ერთადერთი ქვეყანა და ერია, რომელსაც აქვს ინტერესი, აფხაზს გადაურჩინოს აფხაზობა, ენა, კულტურა, მიწა და ზოგადად ეთნოსი... ეს კი მხოლოდ საქართველო და ქართული სახელმწიფოა",–განაცხადა ახვლედიანმა.

„ჩვენ აფხაზებთან ერთად საუკუნეების მანძილზე ვცხოვრობდით და ვიცით, მათთან როგორ ვიურთიერთოთ. ამიტომაც, არცერთი ერი, რუსი იქნება, ინგლისელი თუ ფრანგი, ისე არ იქნება დაინტერესებული აფხაზი ერის გადარჩენით, როგორც ქართველი",–დასძინა გიორგი ახვლედიანმა.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთში დე-ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები 26 აგვისტოს გაიმართება, რომელშიც „პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი" ალექსანდრე ანქვაბი, დეფაქტო პრემიერი სერგეი შამბა და ოპოზიციის ლიდერი რაულ ხაჯიმბა მიიღებენ მონაწილეობას.

პრესა.გე

## ქართული მხარე საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის კონსულტაციების ჩატარების ინიციატივით გამოდის



რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის ხელმძღვანელის გივი შუღაროვისა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ს მე-4 დეპარტამენტის დირექტორის ალექსეი პავლოვსკის შეხვედრა გაიმართა, რომელსაც რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

შეხვედრა ქართული მხარის ინიციატივით შედგა, რომლზეც გივი შუღაროვმა წამოჭრა საქართველოს ინტერესების სექციის ფუნქციონირების საკითხი, რომელსაც დაბრკოლებები შეექმნა.

არსებული პრობლემების გამო კი საქართველოს ინტერესების სექცია იძულებული გახდა 2011 წლის 4 აგვისტოს, 2 სამუშაო დღის განმავლობაში, შეეწყვიტა მოქალაქეთა საკონსულო მომსახურება.

ქართული მხარე საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის კონსულტაციების ჩატარების ინიციატივით გამოვიდა, რომელიც შვეიცარიის მხარის თანდასწრებით უნდა გაიმართოს.

შეხვედრის გამართვის მთავარ მიზნად მოსკოვში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციისა და თბილისში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციის ნორმალური და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა სახელდება.

„ჯი–ეიჩ–ენი"

## ვიდეოპაემნის განხორციელება უკვე ქუთაისის პრობაციის ბიუროდანაც შესაძლებელია

დღეიდან ქუთაისში ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ვიდეოპაემნის მეშვეობით შეხვდეს მსჯავრდებულს.

ვიდეოპაემნის ამოქმედებას ქუთაისში სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე დაესწრო.

მინისტრის თქმით, ვიდეოპაემნის დანერგვა სრულიად ახალი სიტყვაა პენიტენციურ სისტემაში. ნოვაციური პროექტი საშუალებას აძლევს მსჯავრდებულს დისტანციურად თვეში სამჯერ ურთიერთობა იქონიოს მისთვის სასურველ ნებისმიერ ადამიანთან.

ვიდეოპაემანი არის საშუალება, რომლითაც მსჯავრდებულს ვიდეოტექნიკის მეშვეობით შეუძლია კონტაქტი იქონიოს პირთა შეუზღუდავ წრესთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ მსურველს მსჯავრდებულის თანხმობის საფუძველზე მასთან შეხვედრის საშუალება ეძლევა.

ვიდეოპაემანი პენიტენციურ სისტემაში 2011წელს, მსჯავრდებულის რეაბილიტაციისა და საზოგადოების ნებისმიერ წევრთან ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით დაინერგა.

ვიდეოპაემნის შემთხვევაში აღარ არის საჭირო სასჯელაღსრულების კონკრეტულ დაწესებულებაში მისვლა, რადგან კავშირი დისტანციურია და ამგვარად, მოხსნილია მგზავრობასთან დაკავშირებული დისკომფორტი.

ვიდეოპაემნის განხორციელება მხოლოდ პრობაციის რეგიონალურ ბიუროებში დამონტაჟებული სპეციალური მაღალტექნოლოგიური აპარატურითაა შესაძლებელი.

აღნიშნული პროექტი უკვე ხორციელდება №11 არასრულწლოვანთა სპეციალურ და ქსნის №15 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში.

„ჯი–ეიჩ–ენი"

## სურსათის ეროვნული სააგენტო ჯილეხთან დაკავშირებით კომენტარზე უარს ამბობს

სპეციალისტების განცხადებით, ჯილეხით დაავადების მატება იმაზე მიუთითებს, რომ დაავადების აღმოფხვრას შესაბამისი ყურადღება არ ექცევა. მათი თქმით, ჯილეხის ვაქცინა ასპროცენტიანი ეფექტურობით გამოირჩევა და ცხოველის აცრის შემთხვევაში მას ჯილეხი არ დაემართება.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრისას ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორმა, სრულმა პროფესორმა ლევან მაკარიძემ განაცხადა, სახელმწიფოს მხრიდან მეტი ქმედებაა საჭირო ჯილეხთან საბრძოლველად.

„არაკეთილსაიმედო კერებში მასობრივი ვაქცინაცია უნდა განხორციელდეს. ვაქცინა ასპროცენტიანი ეფექტურობით გამოირჩევა და ცხოველის აცრის შემთხვევაში მას ჯილეხი არ დაემართება. ვერც ერთი სამსახური ვერ უზრუნველყოფს ინფექციის აღმოფხვრას, თუ სახელმწიფოს მხრიდან არ გამოიყო თანხები ვაქცინაციისთვის და არ გატარდა პრევენციული ზომები ჯილეხთან საბრძოლველად",–განაცხადა მაკარიძემ.

მისი თქმით, ჯილეხი ძალიან საშიში ინფექციაა, რომელთანაც ზერელედ მიდგომა დაუშვებელია.

„ჯი-ეიჩ-ენი" დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრსაც დაუკავშირდა. როგორც სააგენტოსთან საუბარში დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიის მთავარმა სპეციალისტმა ნიკოლოზ ცერცვაძემ განაცხადა, 2011 წელს ჯილეხით დაინფიცირებულთა რაოდენობამ 30-ს გადააჭარბა.

„არის გარკვეული მატება, მაგრამ საგანგაშო არ არის. მთავრობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება სადაც შემთხვევები გვაქვს, ყველგან იცრება საქონელი. ვვარაუდობთ, რომ კლება დაიწყება. მატება გამოიწვია უხვმა წვიმებმა, რომელიც მოვიდა საქართველოში. გამორეცხა მთელი ნიადაგი და მისი გამომწვევი სპორები მიმოიფანტა მინდორში. რამდენადაც ვიცი, მარნეულის რაიონში და თეთრიწყაროს რაიონში ეს აცრები ახლაც ტარდება. ადამიანების დასნებოვნება მოხდა წინა პერიოდში, როდესაც აცრები არ ტარდებოდა", - განაცხადა „ჯიეიჩ-ენთან" საუბარში ცერცვაძემ.

მისი თქმით, სახელმწიფო ყველანაირ შესაძლებლობას იძლევა დაინფიცირებულთა მკურნალობისთვის. შემთხვევის დაფიქსირების დროს კი რეაგირება მაშინვე ხდება.

„ჯი-ეიჩ-ენი"

## 12 აგვისტოს ხობში საეკლესიო–საერო დღესასწაული „ცოტნეობა“ აღინიშნა

საეკლესიო-საერო დღესასწაულ ცოტნეობას საფუძველი რამოდენიმე წლის წინ ჩაეყარა და მას შემდეგ ყოველწლიურად ხობელები აგვისტოს 12-ში აღვნიშნავთ. არც წლევანდელი წელი ყოფილა გამონაკლისი. წესისამებრ დღე წირვით დაიწყო, ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა ხობის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით წირვა აღავლინა.

საზეიმო წირვას მრევლთან ერთად ეპარქიის სამღვმდელოება, მრევლი, ხობის მუნციპალიტეტის გამგებელი და ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

წირვის დასრულების შემდეგ საზეიმო განწყობამ ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში გადაინაცვლა. კულტურის სამსახურისა და „კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა თეატრალიზებული კულტურულ–მხატვრული კომპოზიცია. თეატრის მსახიობებმა ლამაზი არტისტიზმით კიდევ ერთხელ გააცოცხლეს სცენაზე ცოტნეს გმირობის ამსახველი დეტალები. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მოცეკვავე და მომღერალი გოგო-ბიჭები.



## „ისტორიაში დადიანი როცა გყავს ცოტნე, არაა ცოტა!“

ცოტნეობის დღესასწაულის დატვირთვაზე ხობის მუნიციპალიტეტის ა.ი.პ. კულტურის ცენტრის დირექტორმა ბატონმა ბეჟან ნადარაიამ ბრძანა:–„ჩვენი ქვეყნის გადარჩენის გზა ყოველთვის ერთიანობა, თანადგომა და მამულის უსაზღვრო სიყვარული იყო! ამ გზაზე ფასდაუდებელია ცოტნე დადიანის ღვაწლი. მადლიერმა ერმა მისი თავგანწირვა დღესასწაულად აქცია.

გილოცავთ სახალხო-საეკლესიო დღესასწაულს „ცოტნეობას“, საფუძველთა საფუძველს საქართველოსთვის თავგანწირვისა და მისი ერთიანობისათვის ბრძოლის უმაგალითო პრეცენდენტს. „ცოტნეობა“ უკვე ტრადიციად ქცეული დღესასწაულია, დღე დიდი წინაპრის ღვაწლისადმი პატივისცემისა, რწმენის, ერთგულებისა, სამშობლოს ერთაინობისათვის თავგანწირვისა.

მინდა დავესესხო დიდ ქართველ პოეტს ფრიდონ ხალვაშს: „ისტორიაში დადიანი როცა გყავს ცოტნე, არაა ცოტა!“

ცოტნე დადიანი ქრისტიანული ზნეობის მატარებელი გმირია, იგი მაგალითია ქართველთათვის!

ბატონმა ბეჟანმა სიტყვა მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ იგორ ტყებუჩავას გადასცა. გამგებელმა ხობელებს სახალხო დღესასწაული მიულოცა.–„დღეს ხობიდან სრულიად საქართველოს, ერსა და ბერს, თითოეულ მამულიშვილს ვულოცავ საეკლესიო- საერო დღესასწაულს „ცოტნეობას“. აქ, კოლხურ მიწაზე დაბადებულ ცოტნეს, სახელოვან გმირობაზე მეტი დაებედა, წმინდანობამდე ამაღლება. სწორედ ეს არის უდიდესი ადამიანური ხვედრი და სულიერი მისია ამ დიდებული ქართველისა. საუკუნეებია ცოტნე დადიანის სახელი ასწავლის თაობებს, როგორ უყვარდათ მათ წინაპრებს მამული, როგორ იცხოვრეს, როგორ აშენეს დანგრეული, როგორ ერთგულებდნენ მამულის ფესვებს და როგორ იბრძოდნენ თავისუფლებისთვის...

გილოცავთ წმინდანის დღეს, რომელმაც შემოსძახა ერს–რაა მამულზე ტკბილი და მწარე, რაა ერთგულებაზე წმინდა და რაა ღალატის ფასი.

ხობი – კოლხეთის გული, გზას ულოცავდა მომავალ გმირსა და წმინდანს. აგერ რამდენი საუკუნეა, იმ მონასტერში, სადაც ცოტნეს ფრესკა და დადიანთა საძვალეა, მის სახელზე ლოცულობენ და ცოტნეობენ ხობელი მამულიშვილები, რომელთაგან ცხრამ 2008 წლის აგვისტოში კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მტერს, რომ ყოველ ქართველში გმირი ცხოვრობს და ყველა გმირში –წმინდანი.

ლიხს აქეთ-„ცოტნეობაა,“ ლიხს მიღმიდან „დიდგორობას“ აღნიშნავს სრულიად საქართველო. ამიტომაც 12 აგვისტო ერთ-ერთი დიდებული და წმინდა დღეა ერისთვის. ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღეს–ხობის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერში ორი წმინდა ჯვრის კურთხევაა–ღვთისმშობლის ხარების ტაძრისა და მეორე –პირველი ხორგის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის.

ხელისუფლების სახელით ეს დღე მინდა მივულოცო მომავალ თაობას, რომლებიც 21-ე საუკუნის მამულიშვილებთან ერთად აშენებენ ახალ ტაძრებს.

დაე, უფლის მადლით ცოტნეს ნამუხლარი ხობიდან – ცოტნე აღმსარებლის ხატის სიწმინდე მოჰფენოდეს სრულიად საქართველოს და ჩვენს მამულს შეეწიოს გმირთა და მოწამეთა გულმხურვალე ლოცვა.

ხობის საპატიო მოქალაქეს ფაზისის აკადემიის პრეზიდენტს ბატონ ნუგზარ ნადარაიას ხობის საზოგადოება ოვაციებით შეხვდა. მან ჩვეული შემართებით ისაუბრა ცოტნესა და მისი გმირობის შესახებ, ისაუბრა იმაზე, თუ რა ძვირფასია ცოტნე თითოეული ქართველისათვის, რომ თითოეულ ქართველ ვაჟკაცში ცოტნე დადიანისეული ვაჟკაცობა დევს. გაიხსენა ის განვლილი წლები, როცა ხობი თავისი კულტურული პოტენციალით ზენიტზე იყო. ისაუბრა იმ წარმატებულ ხობელებზე, რომლებმაც ფაზისის აკადემიის უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს. იყო წარსულით გამოწვეული ნოსტალგია და სურვილი იმისა, რომ აშენებული და დამშვენებული ხობი იხილოს მომავალში. სცენიდან კიდევ ერთხელ მიესიყვარულა თითოეულ ხობელს, და კვლავ შეხვედრის სურვილით დაემშვიდობა, როგორც თავად ამბობს, მისთვის სათაყვანებელ ხალხს. ხალხი ბატონ ნუგზარს, ნიშნად დიდი პატივისცემისა, ტაშს დიდხანს უკრავდა.

ბატონმა ნუგზარმა იქ დამსწრე საზოგადოებას მხატვარი გიორგი გეგეჭკორი წარუდგინა, რომელმც სახსოვრად კულტურის სახლს მის მიერ შესრულებული გუბაზ მეფის პორტრეტი უსახსოვრა, რომელიც ამიერიდან თეატრის ფოიეს კედლებზე სხვა ნამუშევრების გვერდით დაიდებს ბინას. შოთა თუთბერიძემ და გიორგი გვასალიამ ხობელი სტუდენტების სახელით გაახმოვანეს ინიციატივა: „მე ვაშენებ ტაძარს, მე განვამტკიცებ რწმენას!“ რომლის ფარგლებში სტუდენტთა ჯგუფი მონაწილეობას მიიღებს მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას მიერ პირველმაისში მშენებარე ღვთისმშობლის ხარების სახელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში.

აქვე გაიჟღერა იმ ფაქტმაც, რომ ჯვარი, რომელმაც ამ ეკლესიის გუმბათი უნდა დაამშვენოს უკვე აკურთხა მეუფემ და ამ დღეებში მისი აღმართვა მოხდება.

P.S.

*მართლაც 15 აგვისტოს მოწვეულ სტუმრებთან, მედიისა და მასმედიის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ პირველი მაისის მოსახლეობამ თავი მოიყარა „წმინდა ადგილზე,“ რათა საკუთარი თვალით ეხილათ ჯვრის აღმართვის ცერემონიალი. იქ დამსწრეთათვის, ვფიქრობ ამაღელვებელი წუთები იყო, რამეთუ თითოეული ახალი ტაძრის მშენებლობა ღვთით მონიჭებული მადლია. ცერემონიალს მოწვეულ სტუმრებან ერთად ესწრებოდა მაჟორიტარი დეპუტატის ოჯახის წევრები, შვილმა ლაკო ბუკიამ ხაზი გაუსვა ტაძრის სიდიადეს. მან აღნიშნა, რომ დღეს ის უზომოდ ბედნიერია, ბედნიერია იმით, რომ კიდევ ერთი სალოცავი შეემატა საქართველოს. მას სჯერა, ეს ტაძარი დაიცავს თითოეულ ხობელს და სრულიად საქართველოს.*

**ნინო გერგაია**

## ხობი გამორჩეული უნდა გახდეს

**საქართველოს პარლამენტის წევრთან, ხობის მაჟორიტარ დეპუტატთან, ბატონ გოდერძი ბუკიასთან შეხვედრის მასალები ბევრს აინტერესებს. ამ შეხვედრის შეფასება შეიძლება ერთნაირი არ იყოს და თავიანთი კატეგორიულობით ერთმანეთს გამორიცხავდეს, მაგრამ მინდა საზოგადოებამ გაიგოს ამ შეხვედრის ავ-კარგი, შეაფასოს, დაინახოს ზოგი რამ და დარწმუნდეს თავისი მოსაზრებების საფუძვლიანობასა თუ უსაფუძვლობაში.**

**ცნობილია, რომ გულწრფელობა აადვილებს არა მარტო ადამიანურ ურთიერთობებს, არამედ აჯანსაღებს სამუშაო ატმოსფეროს და საქმიანობის ერთადერთი კრიტერიუმი ხდება ერთმანეთის ნდობა და ერთმანეთის იმედი. გულწრფელი კაცი გადაშლილი წიგნივითაა, ადვილად იკითხება, ის არასოდეს არაფერს არ მალავს.**

**ბატონი გოდერძიც გადაშლილი წიგნივითაა, ყოველთვის გაძლევს ურთიერთკავშირის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთნდობის საშუალებას, რომელიც საბოლოოდ გამარჯვების საწინდარია. იგი მაგალითია ნდობის გამართლებისა. სხვანაირად მას არ შეუძლია. იგი მზადაა თავისი ენერგია, ნიჭი და შემოქმედება მოახმაროს თავის ქვეყანას, თავის კუთხეს, თავის ხობს და ხობელებს.**

**შეხვედრაზე დეპუტატმა ისაუბრა იმ პერსპექტივებზე, რაც ქვეყნისა და რეგიონის, ხელისუფლების წინმავალ სტრატეგიასთან შერწყმულად იგეგმება, რათა უახლეს 2-3 წელიწადში მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ყველა რესურსი.**

შეხვედრაზე დეპუტატმა განსკუთრებული ყურადღება გაამახვილა „ხობის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ჩასატარებელ ორგანიზაციულ საკითხებზე, რომლის უმთავრესი ნიუანსი, სწორი დაგეგმვა და ფუნქციების იმგვარი გადანაწილებაა, რომ უკვე ტრადიციად– ქცეულმა ფესტივალმა, მისმა სტუმრებმა,შემსრულებლებმა და ხობელებმა მიიღონ ესთეტიკური სიამოვნება, ხაზი გაესვას ტრადიციულ ღირებულებებს, ფასეულობებს, რომლისთვისაც ეს ფესტივალი შეიქმნა და დღემდე მოდის.

„ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად–აღნიშნა დეპუტატმა, უკვე მრავალი ქვეყნის ფოლკლორისტია დაინტერესებული, რადგან მეგრული სიმღერა მხოლოდ მუსიკალური შედევრი როდია, მისმა კეთილხმოვნებამ, ჟღერადობამ, თვით სიმღერების ისტორიამ და უძველესმა ფესვებმა, გულწრფელად გითხრათ, საოცარი მასშტაბები შესძინა მას. ეს არის შედეგი პირველი ფესტივალიდან დღემდე გაწეული სამეცნიერო მუშაობისა. ისე, როგორც კრებულებსა და კომპაქტ-დისკებზე, ასევე ინტერნეტ სივრცში დომინირებს საიტი ორგ.გე,რომელზეც ძალიან ბევრი ადამიანი შემოდის და ეცნობა ჩვენს ფესტივალს. ეს ფესტივალი შენარჩუნებული და გადარჩენილი საუნჯეა. წელს ჩვენ ველოდებით სტუმრებს, ნორვეგიიდან, ინგლისიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რუსეთიდან, კანადიდან, სომხეთიდან, აზერბაჯანიდან, შავი ზღვისპირეთის ქვეყნებიდან, საფესტივალო აქტიურადაა ჩაბმული ჩვენი დიასპორა სხვადასხვა ქვეყნებში.



ჩემი ხობი სხვებზე გამორჩეული უნდა იყოს.

ეს გამორჩეულობა აგვისტოს პირველივე კვირიდან იწყება გოგი ბუკიას სახელობის საერთაშორისო ტურნირით, რომელმაც სტარტი ხობში აიღო და ხობელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს, იგი 5 აგვისტოს ჩაქვში გაგრძელდება. ეს ორი გრანდიოზული ჩანაფიქრი, ერთ იდეას ემსახურება, ეს არის მესიჯი, რასაც ჩვენ ვუგზავნით დანარჩენ მსოფლიოს–ეს არის საქართველო და პასუხად ვღებულობთ–„მე აღმოვაჩინე საქართველო“ დიახ, ზოგმა ფესტივალზე, მეგრული სიმღერით აღმოაჩინა იგი, ზოგმა კი სპორტული თამაშით ნარდით, ფესტივალთან ერთად საქართველოს პოპულარიზაციისათვის ასევე მნიშვნელოვანია ნარდის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ასევე ტრადიციად იქცა და მსოფლიო ნარდის კალენდარში იქნაშეტანილი.

წინ ახალი პერსპექტივები აქვს ხობს, რომელიც, სულ რამოდენიმე წელიწადში, ხობის განსაკუთრებულობას კიდევ უფრო გაუსვამს ხაზს, და ეს არა მხოლოდ სულიერ ღირებულებებს შეინარჩუნებს, არამედ ფინანსურ პრობლემებს მოხსნის, რადგან დასაქმების პრობლემა ხობში არ გვექნება. მით უფრო, რომ დღეს ხელისუფლება მაქსიმალურადაა მობილიზებული, სხვადასხვა სახის პროექტების განსახორციელებლად, რეგიონის ხელმძღვანელობა–ძალიან ძლიერად ავითარებს ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების მომზადებას, რომელიც რეგიონსა და მათ შორის ხობში მოამზადებს სერიოზულ საკითხებს გადაწყვეტს. დეპუტატმა გაიხსენა წლები-ფესტივალამდე და ფესტივალის შემდეგ. წლევანდელ ფესტივალზე ლეგენდარული ანსამბლ „გორდელას“ იუბილეა. ანსამბლის, რომელმაც სრულიად საქართველოს შეუნარჩუნა, გადაურჩინა და აუმღერა ქართული ხალხური სიმღერები.ამ ანსამბლს ტაშს უკრავდა „რკინის ფარდებს“ მიღმა დარჩენილი მსოფლიო,რომ არაფერი ვთქვათ საბჭოთა სივრცეზე. მან უამრავი თაობა გამოზარდა ქართული სიმღერის სიყვარულით. აქ დაფრთიანდნენ პროფესიონალი მომღერლები, ლოტბარები. სიმღერიდან-სამეცნიერო კვლევებში გადასული ადამიანები, და მან შეძლო მამულიშვილური მისიის შესრულება-ქართული სიმღერით ქართული საქმის კეთება, ამიტომაც ანსამბლის მოღვაწეობის 50 წლისთავის აღნიშვნა ფესტივალზე საპატიო მისიაა, რადგანაც ანსამბლის საუნჯე და ფესტივალის ღირებულებები ავსებენ ერთმანეთს და ხობიდან მოისმენს სრულიად საქრთველო და არა მარტო საქართველო იმ ხმებს, რომელსაც „გორდელა“ ქმნის და სიმღერის ფესვებიდან ამოაქვს თაობებისთვის.

ფესტივალის ფარგლებში ხობის საპატიო მოქალაქეებად იწოდებიან ანზორ ერქომაიშვილი, ემირ ბურჯანაძე, თემურ ბოჯგუა, ვახტანგ როდონაია.

ფესტივალს შერწყმულია, სამონასტრო კოპლექსის მშენებლობა და ის, რომ მეხუთე ფესტივალის დღეებში უწმინდესი და უნეტარესი აკურთხებს ხარების სამონასტრო კომპლექსს, რომელიც ამავ დროულად პარტიარქის რეზიდენცია იქნება. ამიტომაც ინიციატივა, რომლითაც მომმართეს სტუდენტებმა, ჩემთვის მრავალგზის სასასიხარულოა, რადგან ვიგრძენი, რომ მოვიდა, ჩამოყალიბდა თაობა, რომელსაც თავისი სულიერი და კულტურული ღირებულეებები აქვს და არა ნგრევაზე, არამედ შენებაზე, შექმნაზე ფიქრობს. ამგვარი ფიქრით კი ეს ახალგაზრდობა ბევრს მიაღწევს, ამგვარი ქმედებით მე მათში დავინახე ჩვენი ხვალინდელი დღე და ასეთი ხვალინდელი დღე სჭირდება ჩვენს სამშობლოს. ასეთი ხვალინდელი დღე სჭირდება ხობს. ჩვენ კი ერთადერთი რაც შეგვიძლია ისაა, ხელი შევუწყოთ ახალგაზრდობას. შევუნარჩუნოთ თაობებს წარსული და გვექნება უკეთესი მერმისი. ,რომელსაც სულ ცოტა ხნით ადრე სკეპტიკუად უყურებდნენ...

დეპუტატმა მადლობა გადაუხადა, ყველა ხობელს, რომლებმაც თავის სულიერ მისიად ჩათვალა სამონასტრო კომპლექსის მშენებლებლობაში მონაწილეობის მიღება. „ეს უდიდესი მადლია, რაც ყველას გვაერთიანებს და გვაახლოებს უფალთან“–განაცხადა მან... „გადარჩენილი საუნჯე, ხობის საქვეყნო და საერთაშორისო სტატუსი, ხობის განვითარების ახალი პერსპექტივები ეს არის ხელისუფლებისა და მაჟორიტარი დეპუტატის ერთობლივი საზრუნავი.“

მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე და საფესტივალო მზადებაზე ინფორმაციით გამოვიდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი იგორ ტყებუჩავა და საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე.

**მანანა შულაია**

# თანამშრომლობა ბუნებრივი სამართლიანობის პრინციპებზე



**ხობის საზოგადოებისათვის ცნობილი სახე დალი გერგაია უკვე ათეული წლებია, რაც თავის ქალაქში სხვადასხვა თანამდებობებზე მოღვაწეობს, ამჟამადაც მეტად საპასუხისმგებლო სამსახურს ხელმძღვანელობს. კერძოდ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა. მას შეხება თითქმის ყველა თაობის ადამიანთან უწევს, გამოირჩევა პირდაპირობით. როგორც თავად ამბობს, მისი ცხოვრების პრინციპია: „ღმერთს ღმრთისა, კეისარს კეისრისა," რადგანაც მიაჩნია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა და თანამშრომლობა დამოკიდებული უნდა იყოს ბუნებრივი სამართლიანობის პრინციპებზე. დამეთანხმებით ალბათ იმაში, რომ პიროვნების ცოდნა ერთია, მაგრამ მეორეა ის, თუ როგორია ის სამსახურეობრივ ამპლუაში. ჩემი სურვილია, დავანახო მკითხველს ჩემი რესპოდენტის ორივე მხარე.**

***ორიოდე სიტყვა თუ შეიძლება თქვენი ოჯახის შესახებ?***

– მყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი, რომელმაც ახლახან შექმნა ჩემთვისაც სასურველი, კარგი ოჯახი.

***ყველა პიროვნებას ბავშვობაში ჰყოლია მასწავლებელი, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა, თქვენ თუ გყოლიათ ასეთი „მოძღვარი"?***

–რა თქმა უნდა, მყოლია და არა ერთი. დავამთავრე ნოჯიხევის საშუალო სკოლა. სადაც, ჩემდა საბედნიეროდ, მასწავლიდნენ ძალიან ღირსეული ადამიანები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს არა მარტო ჩემს განათლებას, არამედ პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას. ყველა მათგანის მიმართ დღესაც განვიცდი განსაკუთრებულ სიყვარულსა და მადლიერებას; ესენია ანტონ გოგია, მერი ხუნდაძე, ჟენია სულაქველიძე, ძაბული პაპასკირი, გულნარა გერგაია, ელენე ქათამაძე. ახლაც ჩამესმის მარგო მასწავლებლის ხმა, რომელიც „შვლის ნუკრის ნაამბობს" მიკითხავდა. განსაკუთრებით მახსენდება ფიზკულტურის მასწავლებელ ზაურ ტორჩინავასთან ურთიერთობები. ვიყავი რაიონული სპატაკიადების სამ გზის გამარჯვებული მაგიდის ჩოგბურთში და ყოველი შეხვედრა ბატონ ზაურისთან ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო დროს მახსენებს.

***თქვენი პროფესია?***

– ისტორიკოსი, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი.

***პროფესიის არჩევა თქვენი პიროვნულობიდან გამომდინარეობდა? ანუ იყო ეს თავისუფალი არჩევანი, თუ ამაში წვლილი ვინმეს მიუძღვის?***

–ჩემი სურვილი იყო იურიდიულზე ჩამებარებინა, მაგრამ იმ დროს ამ ფაკულტეტზე მოსახვედრად აუცილებელი იყო 2 წლის ნებისმიერი სამუშაო სტაჟის ქონა. ე.ი. სკოლის დამთავრების მერე 2 წელი უნდა გამეცდინა, ამიტომ გადავწყვიტე ისტორიულზე ჩამებარებინა და შემდგომ გადავსულიყავი იურიდიულზე. ასეც მოვიქეცი, მაგრამ ჩემი ლექტორების გიორგი მელიქიშვილის, შოთა მესხიას, ოთარ ჯაფარიძის, თინათინ ყაუხჩიშვილის, მარიკა ლორთქიფანიძის, გიორგი გოზალიშვილის ლექციების მოსმენის მერე სად უნდა წავსულიყავი? ასე რომ, ჩემი პროფესიული არჩევანი ამ მეცნიერებთან ურთიერთობამ განაპირობა.

***თავად თქვენ თუ მიგიძღვით თქვენი შვილის პროფესიის არჩევაში წვლილი?***

–პროფესია თვითონ აირჩია, მე, უბრალოდ, ძალიან მოვინდომე, რაც შეიძლება მეტი უცხო ენა შეესწავლა, ვინაიდან სათანადო ნიჭი შევნიშნე. ამაში ხელს ვუწყობდი და მოდუნების საშუალებას არ ვაძლევდი. ერთობლივად მიზანსაც მივაღწიეთ, მაიკო 4 უცხო ენას ფლობს: ინგლისურს, გერმანულს, რუსულსა და იტალიურს, ამ უკანასკნელს იტალიის საელჩოს დაფინანსებით პერუჯას საერთაშორისო უნივერსიტეტში დაეუფლა.

***ქალბატონო დალი, დამეთანხმებით, ალბათ იმაში, რომ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა გაკისრიათ, სოციალურად დაუცველ ადამიანებზე ზრუნვა, ამ ყოველივეს თავს როგორ ართმევთ?***

–გეთანხმებით, ძალიან საპასუხისმგებლო მოვალეობაა. კომისიის ძირითადი მიზანია სოციალურად დაუცველი ფენებისათვის არა მარტო დახმარების გაწევა სოციალური პრობლემების მოგვარებაში, არამედ ზრუნვა მათი კეთილდღეობის ამაღლებაზე, მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ზრუნვა ისეთი სოციალური გარემოს შესაქმნელად, სადაც დაცული იქნება ადამიანის ძირითადი უფლებები, რომ ყოველმა მოქალაქემ მიიღოს თანაბარი უფლებები სხვადასხვა რესურსებზე, დასაქმებასა და მომსახურეობაზე, ხელი შევუწყოთ ისეთი პროგრამებს, რითაც მიიღწევა სოციალური პირობებისა და სოციალური სამართლიანობის გაძლიერება.

სწორედ ამ პრინციპებისა და მოვალეობების განსახორციელებლადაა ორიენტირებული სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობა, რომელიც თავისი უფლებამოსილების ვადებში განახორციელებს მოსახლეობისათვის ინფორმაციის, მომსახურებისა და რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

***რა მდგომარეობაა მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში?***

–სოციალურ სფეროში მდგომარეობის შესაფასებლად მინდა შეგახსენოთ, რომ რევოლუციამდე ხობის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტი შეადგენდა მხოლოდ 300 ათას ლარს. ბოლო 7 წლის განმავლობაში კი 300 ათასიდან 400 ათას ლარამდე, ყოველწლიურად ფინანსდება უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური პირობების, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამები.

ესაა უფასო სასადილო უმწეოთათვის, ერთჯერადი ფულადი დახმარებები განსაკუთრებით მძიმე შემთხვევების დროს, დახმარებები ახალშობილთათვის, სადღესასწაულო დღეებში დედ-მამით ობოლ ბავშვთათვის, ომში დაღუპულთა ოჯახებისა და სამამულო ომის ვეტერანთათვის უმწეოთა, დევნილთა და ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები, სტიქიით დაზარალებულთა დახმარებები, და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს არაა საკმარისი, მაგრამ ესაა ბიუჯეტის შესაძლებლობის ფარგლები.

***როგორია თქვენი როლი საზოგადოებაში?***

–არასოდეს ვყოფილვარ კრეატურა, მთელი ჩემი საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზაზე მივლია მხოლოდ საკუთარი ღირსებითა და დამსახურების დახმარებით. ჩემი ცხოვრების პრინციპია: „ღმერთს ღმრთისა, კეისარს კეისრისა," რადგანაც მიმაჩნია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა და თანამშრომლობა დამოკიდებული უნდა იყოს ბუნებრივი სამართლიანობის პრინციპებზე". ამის უტყუარი შემფასებელი კი თვითონ საზოგადოებაა, რომელიც არც მადლიერებას დააყოვნებს და არც კრიტიკას.

ჩემი პიროვნების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების მიხედვით ვთვლი, რომ სწორი არჩევანი მაქვს გაკეთებული.

***სოციალურ საკითხთა ფუნქციებში შედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურ სფეროს მიკუთვნებულ საკითხთა რეგისტრირება და გასატარებელ ღონისძიებებზე კონტროლი, რა ფორმით და როგორ ასრულებს ამ ფუნქციას კომისია?***

–დებულების თანახმად, სოციალურ საკითხთა კომისია განიხილავს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, დასაქმების, სოციალური დაცვისა და შრომითი ურთიერთობების, იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებს.

ასევე ახორციელებს საკრებულოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირების საქმიანობის შესწავლასა და მონიტორინგს და კომისია წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად ამზადებს ინფორმაციებს მონიტორინგის შედეგების შესახებ საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს სხდომებისათვის.

***ხშირად ხართ ბედნიერი?***

–ეს ძალიან უსასრულო მცნებაა. მარტივად თუ გიპასუხებთ, ზოგჯერ მიგვრძნია თავი ბედნიერად. ისე თვით სიცოცხლეა ბედნიერებაც და სხვა რამეც.

***რაზე ოცნებობთ?***

–მე რეალისტი ვარ, ოცნებას ოქროს თევზები ჭირდება. სურვილი კი ბევრი მაქვს, მათ შორის უმთავრესი საქართველოს გამთლიანებაა, რათა ჩვენმა შვილებმა იცხოვრონ თავისუფალ და ღირსეულ ქვეყანაში.

***როგორ გესმით სიტყვა სინანული და რას ნანობთ?***

- სინანულს უნდა ახლდეს გულწრფელი მონანიება, ცოდვის აღიარება და აღსარება. ყველა ქრისტიან ადამიანს მოსანანიებელი ყოველთვის აქვს. მე რასაც ვნანობ, უფალმა და ჩემმა მოძღვარმა იცის. არ მჯერა და მეცოდებიან ის ადამიანები, რომლებიც ერთიდაიგივე ცოდვას ჩადიან მონანიების „იმედით".

***რამდენად ნაყოფიერად მიიჩნევთ თქვენი მუშაობის წლებს?***

–ყველა სამუშაოს ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერად ვასრულებდი. ვფიქრობ ამ თვისებებიდან გამომდინარე უნაყოფო არ უნდა ყოფილიყო .

***და ბოლოს, გაზეთ „ხობის მოამბეზე" ხომ არ გვეტყოდით რამეს?***

–„ხობის მოამბესთან" ბევრი რამ მაკავშირებს. ბევრ მტკივნეულ ფაქტს გავიხსენებ. ხობის ახალგაზრდები გამოვეხმაურეთ 9 აპრილის თემას, ამასთან დაკავშირებით ერთმა ჩინოვნიკმა ამ გაზეთის საშუალებით შეურაცხყოფა მოგვაყენა, საპასუხო წერილი კი არ გამოგვიქვეყნეს. ამის შესახებ მწერალ რევაზ ჯაფარიძეს მივმართეთ, რომელიც დროულად გამოგვეხმაურა და დაიცვა ჩვენი პატივი და ღირსება.

ყველაზე საინტერესო ურთიერთობა და თანამშრომლობა „ხობის მოამბე"-სთან 2004 წლიდან მაქვს. ვთვლი, რომ თქვენი გაზეთი გამორჩეულია არამარტო რეგიონში, არამედ მთელ საქართველოში, ეს არამარტო ჩემი აზრია.

**ესაუბრა ნინო გერგაია**

# უფალი მუდამ ჩვენთანაა

**გვესაუბრება ქ. ხობის წმ. სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი მამა კირიონ დარასელია:**



***მამა კირიონ, დაგვლოცე!***

–ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

***მამაო, გილოცავთ მოახლოებულ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს, გთხოვთ, გვესაუბროთ ამ დღესასწაულის შესახებ.***

–გილოცავთ მარიამობის დღესასწაულს–ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინებას. ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა მარიამს ვულოცავ მარიამობის დღესასწაულს! ღვთისმშობლის მადლი და წყალობა არ მოკლებოდეთ!

მარიამობის მარხვა გრძელდება ორი კვირა! ამ მარხვის პერიოდში ჩვენ განსაკუთრებულ პატივს მივაგებთ ღვთისმშობელს.

ყოვლადწმინდა ქალწული დაუცადებლად ისწრაფვოდა ცისკენ და ლოცულობდა, ზეციურ სავანეში გადასახლებულიყო, რათა დამტკბარიყო თავისი ძისა და ღმერთის სხვივცისკროვნებით. როგორც ქვეყანაზე ქრისტეს სწავლების მთესველი, იგი ხედავდა, რომ ადამიანთა სულების წმინდა სამკალი უკვე დამწიფებული იყო: ეკლესიის დაარსება და მოწყობა აღსრულდა, ქრისტიანობა და მასთან ერთად ღვთისმშობლის დიდება მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ეხლა კიდევ უფრო მხურვალედ ევედრებოდა თავის ძეს, რომ, რაც შეიძლება ჩქარა გადაესახლებინა იგი ზეცაში.

ყოვლადწმინდა მარიამი სიონის მთაზე, იოანე ღვთისმეტყველის სახლში ცხოვრობდა ერთხელ ზეთისხილის მთაზე ლოცვისას მას მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ახარა, რომ მისი ზეცაში აღსვლის დრო ახლოვდებოდა და რომ ეს მოვლენა სამი დღის შემდეგ აღსრულდებოდა.

ყოვლადწმინდა მარიამი მიძინებისთვის ემზადებოდა.

თავისი სხეულის დაკრძალვა მან გეთსემანიის ქვაბულში ისურვა. უფალმა ყოვლადწმინდა დედის სურვილი აღასრულა:

ანგელოსის გამოცხადებიდან მესამე დღე დადგა. ახლოვდებოდა დღის სამი საათი, დრო, როდესაც მიძინება იყო ნაწინასწარმეტყველები. ღვთისმშობლის სული უფლის ხელით, ზეიმითა და ზეციური ძალების თანხლებით ავიდა ცათა სასუფეველში.

მორწმუნენი მის სარეცელს საცეცხლურებით და ანთებული სანთლებით მიაცილებდნენ სიონიდან გეთსემანიამდე. მსვლელობის პროცესში თვით დაკრძალვამდე სხივცისკროვანი გვირგვინის მსგავსი ღრუბელი ზემოდან დასცქეროდა ღვთისმშობლის სხეულს და პროცესიის მონაწილეებს. ციდან ანგელოსთა გალობა ისმოდა.

მოციქულ თომას წილად ხვდა, რომ ღვთისმშობლის აღდგომის გაცხადების მონაწილე ყოფილიყო. ისევე, როგორც ოდესღაც თავისი ეჭვით ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტება დაამოწმა. ღვთის ნებით, იგი ღვთისმშობლის დაკრძალვიდან მესამე დღეს მოვიდა გეთსემანიაში. ღრმა მწუხარებით აღვსილი გოდებით მიეახლა აკლდამას და მოთქმით გამოხატა გულისტკივილი, რომ ღირსი არ გახდა, უკანასკნელად ეხილა დედა ღვთისა და მისგან კურთხევა მიეღო. ვერც ის სასწაულები ნახა, მისი მიძინებისა და დაკრძალვის ჟამს რომ აღსრულდა. წმინდა მოციქულებმა, გულწრფელი სიბრალულის გამო, გადაწყვიტეს საფლავის ქვა გადაეგორებინათ და თომასთვის საშუალება მიეცათ, ეხილა ღვთისმშობლის წმინდა გვამი და თაყვანი ეცა მისთვის. მაგრამ ქვის გადაგორებისთანავე ნახეს, რომ აკლდამაში მხოლოდ სუდარები დარჩენილიყო და მათგან გამოუთქმელი სურნელება გამოდიოდა. პატიოსანი გვამი მისი აღარსად იყო. ისინი განცვიფრდნენ და გაოგნდნენ. ღვთისმოსაობით ეამბორებოდნენ საფლავში დარჩენილ მანტიას და ევედრებოდნენ უფალს ამ დიდებული სასწაულის საიდუმლო გამოეცხადებინა მათთვის.

ღვთისმშობლის აღსასრულს ეკლესია მიძინებას უწოდებს, რადგან მან სულ ცოტა ხნით მიიძინა და როგორც ძილისაგან–აღსდგა. ღვთისმშობელმა ბუნების კანონებს სძლია. მიწისაგან შექმნილი სხეულის კვლავ მიწად მიქცევა–ამგვარი სიკვდილი მის გვამს არ შეხებია. შობისას მან ქალწულება დაიმარხა, აღსასრულთან სიცოცხლე შეაერთა; შობის შემდეგ უხრწნელი დარჩა და სიკვდილში სიცოცხლე შეინარჩუნა. მან მიიძინა, რათა ნეტარი მარადიული სიცოცხლისათვის გამოეღვიძა. ის წარდგომილია ცხოველმყოფელი წყაროს წინაშე, რათა ჩვენი სულები ლოცვით იხნას მარადიული სიკვდილისაგან. დაუძინებლად მლოცველი ღვთისმშობელი გვშუამდგომლობს და მწუხარებისას რწმენას გვაძლევს ნუგეშად.

ღვთისმშობლის ქვაში გამოკვეთილი საფლავი, ისევე როგორც საფლავი მისი ძისა, ყველა მორწმუნისათვის თაყვანისცემის საგნად დარჩა. უძველესი დროიდან ეკლესიის მიერ ღვთისმშობლის მიძინების მოსახსენებლად 15(28) აგვისტოა დადგენილი. ის თორმეტ საუფლო დღესასწაულთა შორისაა, რადგან ამ დღეს მაცხოვარი ყოველთა მიეგება დედას თვისას და თავის სავანეში დაასახლა იგი.

***განგვიმარტეთ, როგორ შევარჩიოთ სულიერი მოძღვარი და რას ნიშნავს მოძღვრის კურთხევა?***

–მოძღვარს ირჩევს ადამიანი და მასთან მისასვლელი გზა არ არის რთული, მაგრამ ხშირად ადამიანი ართულებს მოძღვართან მისვლას. მოძღვარს მამაოს ეძახიან, მამა კი ყოველთვის ელოდება თავის შვილს, როგორც ქრისტე გველოდება ყველას.

***მამაო, რას ურჩევთ, რას ეტყვით განსაკუთრებულს და სამახსოვროს დღევანდელ მართლმადიდებელს, რომელსაც ყოველდღიურად არა ერთი გამოცდის გავლა უწევს, როგორ ვძლიოთ ცდუნებას?***

–პავლე მოციქული გვასწავლის „ეს ქვეყანა ბოროტსა ზედა დგას", ბოროტება გაიგივებულია ცოდვასთან, ცოდვას უნდა მოერიდოთ. ამქვეყნიური საცდური დიდია დღეს, სამწუხაროდ, ძალიან გვაკლია სიყვარული, თანადგომა, ურთიერთშენდობა, რაც არის არა სხვისი, არამედ ჩვენი მიზეზი. წმ. სერაფიონ საროველი გვასწავლის: „იცხონე თავი შენი და შენს გარშემო ათასები ცხონდებიან".

***მამაო, ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ნებისმიერ ადამიანს აინტერესებს მოძღვრის სხვა, ერთი შეხედვით საერო ცხოვრება–ოჯახი, მეუღლე, შვილები. გთხოვთ, გაგვაცნოთ ისინი.***

–მყავს მეუღლე და შვიდი შვილი.

***მამაო, დალოცეთ ჩვენი კუთხე და სრულიად საქართველო.***

–ღვთისმშობლის წილხვედრია სრულიად საქართველო! ღვთისმშობლის მადლი და წყალობა იყოს თანმდევი ჩვენი და სრულიად საქართველოსი. ამასთან, ჩვენც გვეცხოვროს ისე, როგორც დედაეკლესია გვიქადაგებს.

უფალი მუდამ ჩვენთანაა. მთავარია, ჩვენ ვიყოთ უფალთან!

**ესაუბრა ლაშა ცატავა**

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N45

## 2011 წლის 27 ივლისი ხობის მუნიციპალიტეტი,სოფელი ხამისკური

**„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 ოქტომბრის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 ოქტომბრის N10 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ N42 22.10.2010 წ.) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოებია:

ა) გამგეობის ტერიტორიული ორგანო ქალაქ ხობში;

ბ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო ახალი ხიბულის თემში (სოფლები: ახალი ხიბულა; გაშფერდი; ზუბი);

გ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო ახალსოფლის თემში (სოფლები: ახალსოფელი; განთიადი; გაღმა პირველი ხორგა);

დ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო ბიის თემში (სოფლები: ბია; ბია-საშონიო; ზემო ბია);

ე) გამგეობის ტერიტორიული ორგანო გურიფულის თემში (სოფლები: პირველი გურიფული; მეორე გურიფული);

ვ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო ზემო ქვალონის თემში (სოფლები: ზემო ქვალონი; საალანიო-საფაჩულიო, სახოჭოლავო);

ზ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო თორსა-დღვაბის თემში (სოფლები: თორსა; დღვაბა; საბუკიო);

თ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო ნოჯიხევის თემში (სოფლები: ნოჯიხევი; დასახლება; ზენი; კუთხენოჯიხევი; ნაფოშტუ);

ი) გამგეობის ტერიტორიული ორგანო პირველი მაისის თემში (სოფლები: ბულიწყუ; საკვიკვინიო; ჭიხუ);

კ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო საჯიჯაოს თემში (სოფლები: ზენი; გაღმა საჯიჯაო; ზუბი; ჯაპიშაქარი);

ლ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო ქარიატის თემში (სოფლები: გაღმა ქარიატა; გამოღმა ქარიატა);

მ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო ქვემო ქვალონის თემში (სოფლები: გიმოზგონჯილი; ბულიში; გვიმარონი; დურღენა; ჭითაუშქური);

ნ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო შუა ხორგის თემში (სოფლები: გამოღმა შუა ხორგა; გაღმა შუა ხორგა; ყორათი);

ო) გამგეობის ტერიტორიული ორგანო ჭალადიდის თემში (სოფლები: საბაჟო; საქორქიო; საღვამიჩავო; საჭოჭუო);

პ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო ხამისკურის თემში (სოფლები: ხამისკური, საკუკავო, საქირიო);

ჟ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო ხეთის თემში (სოფლები: ხეთა, ლარჩვა, ნოჩხონი, ოხვამეკარი, წინაგოლა);

რ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო სოფელ პატარა ფოთში;

ს) გამგეობის ტერიტორიული ორგანო სოფელ პირველ ხორგაში (სოფელი გამოღმა პირველი ხორგა);

ტ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო სოფელ საგვიჩიოში;

უ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო სოფელ ყულევში;

ფ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო სოფელ შავღელეში.

ქ) გამგეობის ტერიტორიული ორგანო სოფელ ძველ ხიბულაში.“.

**მუხლი 2.**

გამგეობის იმ ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელთა სამსახურებრივი ბეჭდები, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ადმინისტრაციული ერთეულების თემებად გარდაქმნასაც ეს დადგენილება ითვალისწინებს, ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და მათი გამოყენება გაგრძელდეს ამ მუხლში მითითებულ ვადამდე.

**მუხლი 3.**

დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას, უზრუნველყოს სამსახურებრივი ბეჭდების დამზადება:

ა) ამ დადგენილების პირველ მუხლში მითითებულ თემებში შექმნილი გამგეობის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებისთვის - 2012 წლის 1 იანვრამდე;

ბ) სოფელ შავღელეში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელისთვის - 2011 წლის 1 სექტემბრამდე.

**მუხლი 4.**

1. ეს დადგენილება, გარდა მე-3 მუხლისა, ამოქმედდეს 2011 წლის 1 სექტემბრიდან.

2. ამ დადგენილების მე-3 მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**მამუკა ჭოხონელიძე,**
*ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.*

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N46

## 2011 წლის 27 ივლისი ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხამისკური

**„ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 25 ივნისის N124 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 25 ივნისის N124 დადგენილებაში (გაზეთი „ახალი სამკუთხედი“ N18-20 20.07.2009 წ.) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობაში გადაცემისას, საწყისი წლიური ქირის ოდენობა განისაზღვროს ქონების საბალანსო ღირებულების არანაკლებ 10%-ის და არაუმეტეს 40%-ის ოდენობით.“

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

**მამუკა ჭოხონელიძე**
*საკრებულოს თავმჯდომარე*

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N47

## 2011 წლის 27 ივლისი ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხამისკური

***ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობების, ზონების და პირობების განსაზღვრის შესახებ***

*„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:*

*1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობები, ზონები და პირობები თანახმად დანართისა.*

*2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.*

**მამუკა ჭოხონელიძე,**
*საკრებულოს თავმჯდომარე.*

---

**დანართი**

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 27 ივლისის N47 დადგენილებისა

**ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობები, ზონები და პირობები**

**მუხლი 1.**

1. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების, პირობებისა და I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობების განსაზღვრა, რომელთა განთავსება/მშენებლობა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის გარეშე ხორციელდება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების საფუძველზე.

2. დადგენილებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებაში გამოყენებულ ტერმინებს.

**მუხლი 2.**

1. მშენებლობის ნებართვა არ ესაჭიროება I კლასს მიკუთვნებულ შემდეგი შენობა-ნაგებობების მშენებლობას:

ა) 60 მ$^2$-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა;

ბ) 20 მ$^3$-მდე მოცულობის, 10 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა;

გ) შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ისა;

დ) V კატეგორიის ელექტროსადგურები (ჰიდროელექტროსადგური 50 კვტ-მდე, მზის და ბიოგაზის დანადგარი);

ე) გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობა;

ვ) საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ$^2$-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობები ან/და დანადგარები.

2ძ პირველი პუნქტით განსაზღვრული შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნებართვის მიღების გარეშე. მშენებლობის მწარმოებელი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

**მუხლი 3.**

1. I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის მწარმოებელი/დამკვეთი ვალდებულია განზრახული მშენებლობის შესახებ განცხადებით აცნობოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს.

2. პირველი პუნქტის „ა“-„გ“ და „ე“-„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში შესაბამისი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან/და მოსარგებლე ვალდებულია, განცხადებაში ასახოს ინფორმაცია მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ, ხოლო „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში განცხადებას დაურთოს მიწის ნაკვეთის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მფლობელმა განცხადებას უნდა დაურთოს:

ა) გარე რეკლამის განთავსების ნებართვა;

ბ) გარე რეკლამის განთავსების ადგილის ტოპოგრაფიული რუკა განთავსების ადგილის ჩვენებით;

გ) ნაგებობის ესკიზური ნახაზი.

4. საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 3 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ$^2$-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების მშენებლობის შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარის განთავსების ადგილის ტოპოგრაფიული რუკა განთავსების ადგილის ჩვენებით;

ბ) შენობა-ნაგებობის ესკიზური ნახაზი.

5. მე-2 მუხლის პირველი პუნქტით „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის მშენებლობისას, რომელიც გამოიყენება სამყოფად (საცხოვრებლად) მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან/და მოსარგებლე ვალდებულია გარდა მე-3 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტებისა განცხადებას დამატებით დაურთოს მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა/დასკვნა.

**მუხლი 4.**

1. მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო 5 დღის ვადაში წარდგენილი სრულყოფილი დოკუმენტის (დოკუმენტების) საფუძველზე წერილობით ადასტურებს დაგეგმილი მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას.

2. თუ ხუთი დღის ვადაში მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ განმცხადებელს პასუხი არ ეცნობება, მესაკუთრე ან/და მოსარგებლე უფლებამოსილია დაიწყოს მშენებლობა.

3. მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია განისაზღვროს განმცხადებლის მიერ დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია.

**მუხლი 5.**

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შენობა-ნაგებობების მშენებლობა მე-3 მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით დასაშვებია ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, გარდა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთებისა, აგრეთვე იმ მიწის ნაკვეთებისა, რომლებიც მიკუთვნებული იყო მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე, მაგრამ მოხდა მისი გამოყოფა და დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულად რეგისტრაცია, თუ:

ა) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შესაბამისად, შენობა-ნაგებობა განეკუთვნება ზონების ტერიტორიაზე უძრავი ქონების (ობიექტების) გამოყენების ნებადართულ სახეობებს;

ბ) შენობა-ნაგებობის ნებისმიერი ფასადი არ არის განთავსებული ქუჩაზე, ავტომაგისტრალზე, გზაზე ან განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩის, მოედნის, ხიდის, სკვერის, პარკის, ბაღის მიწის ნაკვეთებს შორის არსებული გასასვლელებისა და სხვა სივრცეების, ასევე სხვა საზოგადოებრივი ტერიტორიის (სივრცის) უშუალოდ მომიჯნავედ.

2. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის შენობა-ნაგებობის ფასადი არ ითვლება ქუჩაზე, ავტომაგისტრალზე ან გზაზე განთავსებულად ან/და განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში მდებარე ქუჩის, მოედანის, ხიდის, სკვერის, პარკის ბაღის, მიწის ნაკვეთებს შორის არსებული გასასვლელებისა და სხვა სივრცეების, ასევე სხვა საზოგადოებრივი ტერიტორიის (სივრცის) უშუალოდ მომიჯნავედ განსათავსებლად, თუ შენობა-ნაგებობისა და ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საზოგადოებრივ ტერიტორიას (სივრცით) შორის უკვე არსებული შენობა-ნაგებობა ან/და მიწასთან მყარად დაკავშირებული სხვა ობიექტი (მათ შორის ღობე) მთლიანად ფარავს ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საზოგადოებრივი ტერიტორიის (სივრცის) მხარეს განთავსებულ ფასადს.

**მუხლი 6**

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გრუნტის ზედაპირიდან 2,2 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენლების 66-ე მუხლითა და ამ დადგენილების მე-3 მუხლით გათვალსწინებული პროცედურის დაცვით, მშენებლობის ნებართვის გარეშე დასაშვებია, ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, გარდა კანონმდებლობის შესაბამისად მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთებისა, აგრეთვე იმ მიწის ნაკვეთებისა, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით მიკუთვნებული იყო მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე, მაგრამ მოხდა მისი გამოყოფა და დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულად რეგისტრაცია.

2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კავშირგაბმულობის ხაზის (ქსელის) გაყვანა/მონტაჟი არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით ან კავშირგაბმულობის ხაზის (ქსელის) გაყვანა/მონტაჟისათვის ტრანშეის/თხრილის მოწყობა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კავშირგაბმულობის ხაზის (ქსელის) გაყვანა/მონტაჟი დამატებით საჭიროებს სანებართვო შენობა-ნაგებობის მშენებლობას/მონტაჟს) და ხაზობრივი ნაგებობები–III კატეგორიის გაზსადენი, III კატეგორიის წყალსადენი, III კატეგორიის წყალარინების მილი, III კატეგორიის ქუჩა, IV და V კატეგორიის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენლების 66-ე მუხლითა და ამ დადგენილების მე-3 მუხლით გათვალსწინებული პროცედურების დაცვით, მშენებლობის ნებართვის გარეშე დასაშვებია, ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთზე.

**მუხლი 7**

1. I კლასის ნებიესმიერი შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წინამდებარე დადგენილების მოთხოვნებს, საჭიროებს მშენებლობის ნებართვას.

2. დადგენილების მოქმედება ვრცელდება I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის ყველა სახეობაზე, გარდა I კლასს დაქვემდებარებული ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობის დემონტაჟისა.

3. ამ დადგენილების მოთხოვნათა დარღვევით I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელება განიხილება როგორც უნებართვო მშენებლობა.

**მამუკა ჭოხონელიძე,**
*საკრებულოს თავმჯდომარე.*

## თქვენი რჩეული საკრებულოში

# ურთიერთპატივისცემის და დიდი ნდობის ფაქტორი

ახალი ხიბულის სკოლის დირექტორ მანანა კიტიას მუნიციპალიტეტში იცნობენ, როგორც კარგ პედაგოგს, პრინციპულ, ობიექტურ და სამართლიან ხელმძღვანელს.

იგი ამავდროულად მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია.

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.



***ქალბატონო მანანა! მინდა ჩვენი გაზეთის მკითხველებს გაეცნოთ, რა გზა გამოიარეთ, ვიდრე სკოლის დირექტორი გახდებოდით?***

–სკოლა წარმატებით დავამთავრე 1974 წელს და ჩავირიცხე ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1978 წელს წარჩინებით დავამთავრე. ინსტიტუტში დარჩენის და ასპირანტურაში სწავლის გაგრძელების დიდი შანსი მქონდა, მაგრამ ოჯახი შევქმენი და სიყვარულმა სძლია, ვერ მოვახერხე.

ახალი ხიბულის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად დავიწყე მუშაობა. ახალგაზრდას და ახალბედას მაღალი კლასები მომცეს, მაგრამ არ გამჭირვებია, რადგან ბავშვები ძალიან მიყვარს, მომწონს მათთან ურთიერთობა. გაკვეთილზე მასწავლებელი ვიყავი, გაკვეთილის გარეთ მათი მეგობარი და მრჩეველი. ბავშვებმა შემიყვარეს და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. ახლაც, როცა იმ დროის კურსდამთავრებულებს ვხვდები, „მანანა მასწავლებელოთი“ მომმართავენ და ეს ჩემთვის ერთგვარი სიამაყეა...

წლების განმავლობაში ვმუშაობდი სკოლის ორგანიზატორად, ახლანდელი გადასახედიდან ის წლები ძალიან ტკბილ მოგონებად მრჩება, 1990–92 წლებში კი ვიყავი სკოლის დირექტორი, მაგრამ მეორედ გავხდი დედა და თანამდებობას, შვილის აღზრდა ვარჩიე. შემდეგ იყო დიდი პაუზა, ჩემს ცხოვრებაში დიდი ტრაგედია დატრიალდა, მოულოდნელად გარდამეცვალა ძმა, რაიონში ცნობილი ბიზნესმენი როლანდ კიტია. ობლობაში გაზრდილები ვიყავით და განსაკუთრებული თბილი ურთიერთობა და სიყვარული გვაკავშირებდა. დედამ ვერ გადაიტანა ეს უბედურება და ისიც გარდაიცვალა, ეს ჩემთვის იყო დიდი ფსიქოლოგიური სტრესი. ამის გადმოცემა შეუძლებელია. საკუთარ თავში ჩავიკეტე... მაგრამ ნათქვამია, დრო ყველაფერს კურნავსო. თითქოს ტკივილი ნელ-ნელა დაცხრა. ცხოვრებამ თავისი მოითხოვა. განათლების სისტემაში რეფორმები დაიწყო, გულმა ისევ სკოლისკენ მიხმო, გამოცხადდა დირექტორობის სასერთიფიკაციო კონკურსი, მოსწავლეთა მშობლები და ჩემი ყოფილი კოლეგები მთხოვდნენ ამ კონკურსში მიმეღო მონაწილეობა და მეც ტესტირება გავიარე, სკოლის სამეურვეო საბჭომ ნდობა გამომიცხადა და 2007 წელს კვლავ გავხდი სკოლის დირექტორი.

***რას იტყვით თქვენს სკოლაზე?***

–ჩემი სკოლა დაარსდა 1918 წელს. ის სოფლის ცენტრში მაღლობზეა აშენებული, ირგვლივ ლამაზი ხეივანია...

აქ საუკეთესო ბავშვები სწავლობენ და კარგი პედაგოგები მუშაობენ. ჩვენდა საამაყოდ, სკოლას ყავს წარმატებული კურსდამთავრებულები, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში 4 მედალოსანი გვყავდა, ოთხივემ ეროვნული გამოცდების შედეგებით სახელმწიფო გრანტი მიიღო. ჩვენი სკოლიდან ყოველწლიურად საშუალოდ 5–10 კურსდამთავრებული ირიცხება საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

***თვლით, რომ წარმატებული დირექტორი ბრძანდებით?***

–წარმატებული დირექტორი, ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. დირექტორის წარმატება, სკოლის წარმატებაზეა დამოკიდებული. ასეთად მაშინ ჩავთვლი თავს, როცა სკოლა ავტორიზაციას გაივლის, გახდება აკრედიტებული ყველა პედაგოგი კი სერთიფიცირებული, როცა ჩემი სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებულნი გახდებიან და აქტიურად ჩაებმებიან საზოგადოებრივ საქმიანობაში, როცა მთლიანად გავატარებთ იმ რეფორმებს, რომლებიც განათლების სისტემაში მიმდინარეობს. ერთი სიტყვით, წარმატებული დირექტორის ტიტულამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი.

***ქალბატონო მანანა! რამ განაპირობა თქვენი საკრებულოს დეპუტატად არჩევა?***

–საკრებულოს დეპუტატად არჩევა?–ალბათ, ჩემი სოფლის სიყვარულმა, იმან, რომ ჩემს თანასოფლელებს ვუყვარვარ და მეც მიყვარს ისინი. ალბათ, ურთიერთპატივისცემის და დიდი ნდობის ფაქტორმა.

***ახერხებთ თუ არა, ხალხის გულისთქმა მიიტანოთ საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რათა საკითხი ხალხის სურვილის მიხედვით გადაწყდეს?***

–ნაწილობრივ კი, მთლიანად ვერა, სოფელში ბევრი პრობლემაა, მით უფრო სოციალურად დაუცველი ოჯახები, უმუშევრობა... გული გიკვდება ადამიანს, როცა ირგვლივ ამდენ გაჭირვებულს ხედავ. ამას წინათ ერთმა ახალგაზრდა ქვრივმა მომმართა, მას ხერხემალზე რთული ოპერაცია სასწრაფოდ ჰქონდა გასაკეთებელი, თუ არა და პარალიზებული დარჩებოდა. ოჯახს ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა, როდესაც საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ მამუკა ჭოხონელიძეს მოვუყევი ამის შესახებ, დეტალურად ავუხსენი მდგომარეობა, მითხრა, გთხოვ მეტს ნუღარ გააგრძელებ, არ შემიძლია მეტის მოსმენაო, მისი უშუალო რეკომენდაციითა და შუამდგომლობით სასწრაფოდ გადარიცხა საოპერაციო თანხა, დედა ჯანმრთელი დაუბრუნდა საკუთარ ობლებს. რომ შემეძლოს ყველა ოჯახს ასე დავეხმარო, ყველა პრობლემა გადავუჭრა, მაშინ მართლა გამართლებულად ჩავთვლიდი ჩემს დეპუტატობას და ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ ყველა საკითხის გადაწყვეტა, რასაც სოფლის მოსახლეობა ითხოვს, ვერ ხერხდება, რა თქმა უნდა, ყველაფერს თავისი დრო აქვს...



***საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან რომელს გამოყოფდით და რომელს მიიჩნევდით აუცილებლად?***

–ჩვენი საკრებულო ძალიან ეფექტურად მუშაობს. იქ მიღებული ყველა გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია. მე მაინც განსაკუთრებულად მიმაჩნია ის სხდომა, რომელმაც რაიონის ბიუჯეტი დაამტკიცა.

***შევცვალოთ საუბრის თემა. ძნელია ამ ყველაფრის შეთავსება ოჯახთან?***

–სამსახურის და ოჯახის შეთავსება ადვილი არ არის. უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, ალბათ, არ გამიჭირდებოდა. ბოლო პერიოდი მეუღლე მძიმე ავადმყოფი მყავს, ამიტომ მიჭირს, მაგრამ მაინც ვახერხებ.

***მოგვიყევით შვილებსა და შვილიშვილებზე?***

–მყავს ორი ვაჟი. უფროსი–სოსო ღურწკაია პროფესიით იურისტი, ცოლშვილიანია და თბილისში ცხოვრობს, ამჟამად მოსამართლეა. მყავს 2 წლის შვილიშვილი–ანასტასია ღურწკაია, რომელიც საოცრად ჭკვიანი ბავშვია, იცის ზღაპრები, ლექსები. როცა ვურეკავ სულ ახალ–ახალ ლექსებს მიყვება და მახარებს.

მეორე ვაჟი, მამის სეხნია–აკაკი ღურწკაია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია, სხვათაშორის რძალიც იურისტი მყავს. და ვცხოვრობ, იურისტების გარემოცვაში.

***მიზანმიღწეული ქალი ბრძანდებით?***

–ვარ თუ არა მიზანმიმართული?–რასაც ჩავიფიქრებ, ყველაფერს ვისრულებ. შვილების ცხოვრებით კმაყოფილი ალბათ მიზანმიღწეულიც ვარ. ისე მიზნის მისაღწევად ყოველთვის ვიბრძვი.

***წარმატებული ქალი ბრძანდებით, რას უსურვებდით ახალგაზრდებს?***

–ახალგაზრდობას ვუსურვებდი გონიერებას, მიზანდასახულობას, შრომისმოყვარეობას, წიგნიერებას, ერთმანეთის სიყვარულს, ღვთის მოშიშებას.

***თქვენი საყვარელი პოეტი და მწერალი, ცხოვრებისეული ოცნება, რომელიც დღემდე ვერ აისრულეთ?***

–პოეტი–გალაკტიონ ტაბიძე, მწერალი–კონსტანტინე გამსახურდია.

ჩემი ოცნება იყო ჩემს შვილებთან ერთად შემომევლო საქართველოს ყველა კუთხე, ჯერჯერობით ამას ვერ ვახერხებთ. გული მწყდება, რომ ჩემი შვილები არ იცნობენ აფხაზეთის მშვენიერ მიწა-წყალს, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, იქნებ განგებამ სიკვდილამდე ეს ოცნება ამისრულოს...

***როგორ საქართველოში ცხოვრების სურვილი გაქვთ, ანუ რას ინატრებდით.***

–მსურს გაერთიანებულ, გაბრწყინებულ, ეკონომიურად ძლიერ საქართველოში შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრება.

***სასიამოვნო მოსაუბრე ბრძანდებით, ამისათვის დიდი მადლობა. როგორი დამოკიდებულება გაქვთ ჟურნალისტებთან, რას იტყვით ჩვენს გაზეთზე, რა თემები გსურთ იხილოთ მის ფურცლებზე?***

–ძალიან მომწონს ჟურნალისტის პროფესია. თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველი ვარ. მიხარია, რომ გაზეთი უფრო და უფრო საინტერესო ხდება. თანამედროვე პრესაზე საერთო ჯამში დადებითი წარმოდგენა მაქვს, მაგრამ ზოგჯერ ისეთი რამ იწერება, რომელიც ჩემი აზრით არ არის საჭირო, ყველაფერზე სააშკარაოდ საუბარი არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. თქვენს გაზეთს წარმატებებს და მკითხველთა ფართო წრეს ვუსურვებ.

***კითხვა, რომელიც გამომრჩა?***

–თითქმის ყველაფერზე ვისაუბრეთ, ვფიქრობ, მკითხველს თავი არ მოვაბეზრო. კითხვა არა მაქვს. თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მინდა ყველა ქართველს და განსაკუთრებით ჩემს ხობელებს, ხიბულელებს მოვეფერო და დიდი სიყვარული გადავცე.

ღმერთი იყოს თქვენი და მთელი საქართველოს მფარველი, ღვთის მადლი გფარავდეთ ყველა საქმეში.

**ესაუბრა**
**მერი ლაგვილავა**

## რუსული აგრესიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებამ პატივი მიაგო



2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიის დროს დაღუპულთა ხსოვნისათვის პატივის მისაგებად ქალაქ ხობში, 8 აგვისტოს მემორიალთან შეიკრიბნენ და გვირგვინით შეამკეს ხობის მუნიციპალიტეტის ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ხობელი გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი მხატვრულ-ლიტერატურული წარმოდგენა - „მამულს შეწირული სიცოცხლე“.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მ. ჭოხონელიძემ და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ი. ტყებუჩავამ სიტყვით მიმართეს 8 აგვისტოს მემორიალთან შეკრებილ საზოგადოებას. მისასალმებელ სიტყვაში მამუკა ჭოხონელიძემ აღნიშნა, რომ დღევანდელი ხელისუფლების უპირველესი მიზანი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. საქართველოს შესწევს ძალა და აქვს პოტენციალი, ყველა ცივილიზებული მეთოდით მშვიდობიანად მოაგვაროს ქვეყნისათვის ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა. „ქედს ვიხრით რუსეთის აგრესიის დროს დაღუპული ხობელი ვაჟკაცების ხსოვნისა და მათი მშობლების წინაშე. ჩვენ ვალად გვადევს თითოეული მათგანის სიცოცხლე მანამ, სანამ ჩვენი მიწა-წყლის თუნდაც ერთი მტკაველი იქნება ოკუპირებული“.

–საქართველოს ხელისუფლებამ აგვისტოს დღეებში- უმძიმესი გამოცდა გამოიარა და ღირსეული პასუხი გასცა მტერს. პასუხი, რომელიც ბრძოლების ისტორიაში- მტერზე მორალური გამარჯვების სიმბოლოდ იქცა. „მე ქართველი ვარ“ იმეორებდა საპროტესტოდ გამოსული მილიონობით ადამიანი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. „მე ვარ საქართველო“- ასე დაიხია- „ნაჯახის რუსეთმა“ უკან. 8 აგვისტოს სრულიად საქართველო სანთლებს უნთებს ამ საუკუნის არაგველებად, ხერხეულიძეებად, ცოტნეებად ქცეულ ბიჭებს... აგვისტოს დღეებმა 21-ე საუკუნის საქართველოს ცხრა ხობელი გმირის სახელი შემატა.

რუსულ აგრესიას შეწირული 9 ხობელი ვაჟკაცის მშობლებს, აღმზრდელებს, მეგობრებს მინდა ვუსურვო გულმაგრობა და სულით უტეხობა–თქვა თავის გამოსვლაში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ.

ხობის ყოვლადწმინდა სამების ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა კირიონმა გადაიხადა პანაშვიდი 8 აგვისტოს დაღუპულთა სულების მოსახსენებლად.

## ხალხი და ხელისუფლება



**დოსიე:** გოჩა შანავა დაიბადა სოფელ ხეთაში 1960 წელს. სწავლობდა ხეთის საშუალო სკოლაში, შემდეგ ხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომელიც წითელ დიპლომზე დაამთავრა და ჩაირიცხა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. სწავლული აგრონომი წლების მანძილზე ხობის ექსპერიმენტულ მეურნეობაში აგრონომად, შემდეგ კი მთავარ აგრონომად მუშაობდა. 1989–96 წლებში იყო ხობის ჩაის ფაბრიკის მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარე. 1999–2007 წლებში მუშაობდა ქალაქ თბილისში „კადასტრი და რეგისტრაცია“ ფირმაში–„პროპორციას“ მენეჯერად.

2010 წლიდან გახლავთ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებული სოფელ ხეთაში.

ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

# „სურვილები, რომ რეალობად იქცეს, ბევრი შრომაა საჭირო...“

ხეთა ხობის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ლამაზ და შეძლებულ სოფლად ითვლებოდა თავისი არსებობის მანძილზე. იგი ურთის მთის ძირას მდებარეობს და ძალზე შესანიშნავი ლანდშაფტით ხასიათდება. აქ შემოსავლის ძირითად წყაროს დაფნა წარმოადგენდა. სოფელში არსებულ ყოფილი ხეთის მეურნეობის მთელი

სოფელ ხეთის რუკა



ტერიტორია ბუნებრივი დაფნის ნარგავებით არის მოფენილი. ნიადაგი კირქვიანია. სოფელში ბევრი ციტრუსი ხარობს.

ხეთაში წმინდა ადგილად ითვლება მთავარანგელოზთა–მიქაილისა და გაბრიელის სახელობის ეკლესია, ჯეგეთის მთის ძირას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია არსებობს. მეურნეობის სიახლოვეს არის ულამაზესი ტბა „პაპანწყვირი“, რასაც უნიკალურად ხდის იქ არსებული მარგალიტები. აქ არის მე-18 საუკუნის ციხე-სიმაგრის ნანგრევები (დღეისათვის უფრო სრულყოფილი) „ჯიხა“. ეს ადგილი საუკუნეების წინათ ვინმე გიორგი დადიანის სამფლობელო ყოფილა, რომელიც არასათავადაზნაურო შტოს წარმოადგენდა.

არც ისე შორეულ წარსულში, როცა სახელმწიფო სტრუქტურები მოქმედებდა, ადამიანები დასაქმებულები იყვნენ და ცხოვრება არ ჭირდა, ხალხი ცხოვრების ზენიტს აღწევდა. მერე იყო სამოქალაქო ომი, დაპირისპირება, ნგრევა, რუსეთის აგრესია... რაც ცხოვრებას მსახვრალად დაეტყო. ბოლო წლებია ცხოვრება. კალაპოტში ჩადგა, მაგრამ უმუშევრობა დღემდე პრობლემად რჩება. დღეს სოფელში 5 ათასამდე მცხოვრებია 1326 ოჯახით, აქედან 630 ლტოლვილია, ოჯახი სიღარიბის ზღვარს მიღმა ითვლება, 4 მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვრობს, რომლებიც სახელმწიფოს ფარგლებში არსებული ყოველნაირი პროგრამით სარგებლობენ.

ხეთა ხუთ უბნადაა დაყოფილი–ლარჩვა, წინანგოლა, ოხვამეკარი, ხეთა და ნოჩხონი. ყველა უბანი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, რასაკვირველია, მას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა წარმართავს.

აქ ფუნქციონირებს: საჯარო სკოლა 300 მოსწავლითა და 50 პედაგოგით; სამი საბავშო ბაგა-ბაღი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სოფლის სამედიცინო ამბულატორია 2 ექიმითა და ამდენივე მედდით. ამ ხელისუფლების დიდი დამსახურებაა, რომ პენსიონრებს აქვთ შედარებით ნორმალური პენსიები. რაზეც ადრე ოცნებაც არ შეიძლებოდა. არ არსებობს მისი დაგვიანებით და გაყინვები. ცხოვრების რიტმი შეიცვალა, მაგრამ ჯერაც ძალზე ბევრია გასაკეთებელი, და ეს უპირველესად, სამუშაო ადგილებმა უნდა გადაწყვიტოს.

დღეისთვის უმთავრესია სოფლის განვითარებისათვის ზრუნვა, რაშიც დიდია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ მამუკა ჭოხონელიძის, მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ იგორ ტყებუჩავას მხარდაჭერა. ასევე სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ რომეო ლატარიასა და თავად სოფლის თავკაცის ბატონ გოჩა შანავას წვლილი და გაწეული შრომა.

ავ-კარგიანი სოფელია ხეთა. ხალხიც ძალზე განათლებული და საღად მოაზროვნე. ბევრი კარგი უნახავთ და რასაკვირველია, ცუდიც. ქვეყნის წინსვლაც და გავლილი გაუსაძლისი დღეები–ომი... უშუქობა, უპურობა, უხელფასობა, უპენსიობა და კიდევ ვინ იცის რამდენი რამ. ახლა კიდევ ფეხზე წამომდგარ და აღორძინების გზაზე დამდგარ საქართველოსაც ხედავენ, თუმცა პრობლემები ჯერაც ბევრია და მისი მოწესრიგებაა დღეს ნომერ პირველი ამოცანა.

ამჯერად, ხეთაზე ვლაპარაკობ და გვაინტერესებს ამ ბოლო წელს რა გაკეთდა სოფელში და კიდევ რა არის გასაკეთებელი. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამამ“ ცოტათი მაინც თუ შეცვალა სოფლის მცხოვრებთა კეთილდღეობა და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი მოთხოვნები...

აი მიზეზი და მიზანი ამ დიალოგისა, რომელიც ბატონ გოჩა შანავასთან შედგა.

***ბატონო გოჩა, ხეთაში დაიბადეთ და გაიზარდეთ. ყველა გიცნობთ, მაგრამ ამ ამპლუაში სოფელმა როგორ მიგიღოთ?***

–როგორც თქვენ აღნიშნეთ, აქ დავიბადე და გავიზარდე. ამდენად, ამ ხალხისთვის უცხო არ ვიყავი. სოფლის თავკაცად ჩემი დანიშვნა, ვგონებ, არავის წყენია, პირიქით, კარგად მიმიღეს. უკმაყოფილება არავის გამოუხატავს. ჩემი სულმნათი ძმა, გელა, ამ თანამდებობაზე მუშაობდა და ყველას უყვარდა, რადგანაც ცდილობდა, შეძლების მაქსიმუმი გაეკეთებინა სოფლისთვის. ჩვენი ოჯახის მიმართ ყველას დადებითი წარმოდგენა აქვს, რაც ალბათ, ბევრს ნიშნავს ჩემთვის.

მეც ვცდილობ, ხალხთან ახლოს ვიყო, მათი ინტერესები ხელისუფლებამდე მივიტანო და გავაკეთო ის, რაც უპირველესია სოფლისთვის. სოფელში მუშაობა არც ისე ადვილია, მით უფრო დღეს, ყველაფერს პასუხისმგებლობით ვაკეთებთ. მინდა საქმეს თავი კარგად გავართვა და უკმაყოფილო არავინ მყავდეს.

***თქვენი პირველი დღე როგორი იყო სამსახურში და კოლეგებთან როგორი ურთიერთობები ჩამოგიყალიბდათ?***

–ცოტა არ იყოს, ვღელავდი. ჯერ ერთი, პირველი დღე ახალ სამსახურში ყოველთვის ამაღელვებელია. მეორე, იქ ჩემი ძმის ოთახი და მისი გაკეთებული საქმეები მხვდებოდა. თითქოს გამიჭირდა. უკვე შევეჩვიე, ახლა სამუშაო განწყობა მაქვს. ასე, რომ ჩემს ამპლუაში ვარ.

ისე, ურთიერთობა არც კოლექტივში გამჭირვებია და არც ახალ კოლეგებთან. თითქმის ყველას ვიცნობდიო და ბევრ მათგანთან ახლო და მეგობრული ურთიერთობები მაკავშირებდა. სამსახური გვაახლოებს. აზრებსა და იდეებს ერთმანეთს ვუზიარებთ, მთავარია, საერთო საქმე გაკეთდეს.

***ალბათ ბევრი მეგობარი გყავთ. დაახასიათეთ ისინი?***

–მითხარი ვინ არიან შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენ?! ეს აზრი საზოგადოებაში დღესაც მუსირებს. ვის როგორი წარმოდგენა აქვს ამაზედ, ეს უკვე მათი პრობლემაა. ყველა ჩემი მეგობარი და ძმაკაცი (ჩამოთვლა არ არის საჭირო) განათლებული და კარგი ადამიანებია. ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმის და ვიცით, ვინ ვინ არის, ისინი თითქმის ყველა სფეროში მოღვაწეობენ. არიან ულალატონი, ქართული ტრადიციების ნამდვილი მიმდევრები, ვაჟკაცები და პრინციპულები.

მე ვამაყობ მათით. ალბათ, ისინიც ჩემზე იგივეს იტყვიან. მე მჯერა მათი.

***სხვადასხვა სამსახურებში გიმუშავნიათ. სად უფრო რთული იყო მისიის შესრულება?***

–რა თქმა უნდა, ჩემს დღევანდელ სამსახურში მუშაობა გაცილებით რთულია. მანამდე მქონდა კონკრეტული, გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეული სფერო. აქ კი მთელ სოფელზე ხარ პასუხისმგებელი, ყველა შენ გიყურებს, შენგან ელის ახალს... სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს, სიდუხჭირისგან თავის დაღწევას... რაც ჩემზე დიდად არ არის დამოკიდებული, ეს მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ხელისუფლების პრეროგატივაა. მაგრამ ხალხი აქ მე მხედავს და თავიანთ დამცველად მიმიჩნევენ, რაც ბევრს, ძალიან ბევრს მავალებს. მეც ვცდილობ, რასაკვირველია!

***ბატონო გოჩა, რა აწუხებს დღეს ხეთას. „სოფლის პროგრამის“ შესრულება რა ეტაპზეა. გვიამბეთ, რა სამუშაოები განხორციელდა შარშან. წელს რა გაკეთდა და რომელ უბანში. ხალხის მოთხოვნა გათვალისწინებულია თუ არა და სოფლის მცხოვრებლები თუ დასაქმდნენ?***

–სოფელი ძალზე დიდია და პრობლემებიც მრავალმხრივია და აუცილებლად შესასრულებელი. ხეთელთათვის აქილევსის ქუსლია წყალმომარაგება. მტკივნეული საკითხია კულტურის სახლი, რაც ახალგაზრდობის გართობის, დასვენებისა და დასაქმების ერთგვარი ადგილი იქნება. იმუშავებს სხვადასხვა წრე, იქნება ახალი ჟურნალ–გაზეთები, ჩამოვა ვინმე და... ცხოვრება ძველ რიტმს დაუბრუნდება. სოფელში ძალზე დაბალია დასაქმებულთა რაოდენობა.

რაც შეეხება „სოფლის პროგრამას“, ძალზე აქტუალური და საჭირო პროგრამაა. შარშან ამ პროგრამის ფარგლებში მოხდა შიდა სავალი გზების მოხრეშვა, წყალსადენი მილის რემონტი, კეთილმოეწყო სოფლის ცენტრალური სტადიონი, წინაგოლის უბნის სტადიონი.

თითქმის დასრულებულია სამუშაოები, რაც მიმდინარე წელს გამოყოფილი თანხის ფარგლებში უნდა გაკეთდეს. მოეწყო ორი ხიდი–ერთი ნოჩხონის, მეორე–ლარჩვას უბანში. წლების მანძილზე მოუწესრიგებელი და გაუვალი იყო ოხვამეკარის უბანში რკინიგზის ხიდის ქვეშ გასასვლელი. დღეისათვის იქ კარგი რემონტია გაკეთებული. წინანგოლის უბანში მოხდა ასფალტის საფარის, ხოლო ლარჩვის უბანში–1200 მეტრ მანძილზე წყალსადენის შეკეთება.



ტბა „პაპანწყვირი“

ეს ყველაფერი ხდებოდა მოსახლეობასთან შეთანხმებითა და მათი უშუალო მონაწილეობით. ამ სამუშაოების შესრულებისას დასაქმებული იყვნენ სოფლის მცხოვრებლები.

***სოფლის თავკაცობა ადვილი ნამდვილად არ არის. თქვენი და სოფლის მცხოვრებთა ურთიერთობა საერთო საქმესთან მყარი და შეჯერებულია?***

–გეთანხმებით, ნამდვილად არ არის ადვილი სოფელს ხელმძღვანელობდე. პირიქით, რთულია. სოფლის უმრავლესობის მხარდაჭერით ვუძღვები საერთო საქმეს. საქმის კეთებისას, ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთობები შევაჯერო. რაც კეთდება, სოფლის მცხოვრებთა სურვილების გათვალისწინებითა და უშუალო მონაწილეობით ხდება. მჯერა, ერთობლივად ყველაფერი გამოგვივა სამომავლოდაც.

***ბატონო გოჩა, რას გვეტყოდით თქვენს ოჯახზე?***

–მყავს მეუღლე ლელა რიგვავა, მუსიკათმცოდნე. შვილები–გივი და გვანცა. ისინი მე-5; მე-2 კლასებში არიან. მეიმედება მამა–ჯემალ შანავა, რომელიც წლების განმავლობაში ვაჭრობის სისტემაში მუშაობდა, ამჟამად პენსიონერია. ჩემი ოჯახის ისტორია ყველამ კარგად იცის. ჩემი ძმის ტრაგიკული სიკვდილი ჩვენთან ერთად ყველამ ტკივილით გაიზიარა. დედამ ვერ გაუძლო ტკივილს და....

***განტვირთვისათვის თავისუფალი დრო გრჩებათ, როგორ იყენებთ მას?***

–დღეს დრო ძალზე ფასობს. ცხოვრება დაჩქარებული ტემპით მიედინება. ამდენად, დროც ხელსა და ხელს შუა გეკარგება. ვცდილობ, ის ცოტა დრო, რაც მრჩება, შვილებთან, მეგობრებთან და ოჯახთან შეძლებისდაგვარად გადავანაწილო. მგონი ამას ვახერხებ.

***სევდა შემოგპარვიათ?***

–რა თქმა უნდა, მაგრამ ვცდილობ არ დამიმონოს, ვიბრძვი რომ გავუმკლავდე.

***რა გინანიათ და რატომ?***

–2007 წლის 10 ივნისს დედაჩემის იუბილე იყო. 70 წელი შეუსრულდა. მე ჩამოსვლა ვერ მოვახერხე, ვერ მოვეფერე! სამ დღეში ჩემი ძმა ავტოკატასტროფაში მოყვა და დაიღუპა. უმცროსი ძმა უცოლშვილო წავიდა ამ ქვეყნიდან. დედაჩემი დარდით გარდაიცვალა... ასე, რომ ვნანობ, რომ ვერ ჩამოვედი და მათ სათანადოდ ვერ მოვესიყვარულე, ვერ მოვეფერე და კიდევ ერთხელ ვერ ვუთხარი, რომ ძალიან მიყვარდა ორივე. დედაჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ გაღიმებული არც კი მინახავს. ეს არის ჩემი ყველაზე დიდი სატკივარი და სინანული, რაც საკუთარი თავისთვის დღემდე ვერ მიპატიებია და ალბათ, ვერც ვერასოდეს ვაპატიებ... იმედია, ღმერთი შემინდობს!

***თქვენი სამომავლო გეგმები სოფელთან დაკავშირებით?***

–გვსურს სოფელს უპირველესად ჰქონდეს კულტურის სახლი, ახალგაზრდული ცენტრი, ავტომოსაცდელი, მოსახლეობა დაკმაყოფილდეს სასმელი წყლით. რაც მთავარია, ცხოვრება ისეთი ტემპით განვითარდეს, იყოს სამუშაო ადგილები და სოფლის თითოეული მოსახლე ცხოვრებით კმაყოფილი იყოს.

სურვილები, რომ რეალობად იქცეს, ბევრი შრომაა საჭირო, უპირველესად საქართველოს გამთლიანება და გაძლიერება. შემდეგ მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება!

***ნანი პილასონია.***

# ნომრიდან ნომრამდე

## ხარისხი–„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ მთავარი მოთხოვნა!



სოფელ ნოჯიხევის №1 საბავშვო ბაღში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომელიც ამ ეტაპზე მოიცავს შენობის ძირითად ნაწილს. სარემონტო სამუშაოს მიმდინარეობა დაათვალიერა მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ. აღინიშნა, რომ მთავარია პროექტით გათვალისწინებული ყველა სამშენებლო დეტალი ხარისხიანად და დეფექტების გარეშე შესრულდეს. რაც შეეხება სკოლამდელი დაწესებულების დანარჩენ ნაწილს, ბავშვთა საძინებელ და დამხმარე ოთახებს, საჭიროა გათვალისწინებულიქნას მათი რემონტი. საბავშვო ბაღის ეზოში ამავე პროგრამით მოეწყობა ჭაბურღილი.

## ხობში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თასზე ტურნირი დაიწყო



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ეგიდით ხობში სტარტი აიღო 2011 წლის თასის გათამაშებამ მინი- ფეხბურთში, რომელშიც 6 ზონის 24 გუნდი მონაწილეობს. შეხვედრები ჩატარდება ქალაქის ცენტრალურ, ახალი ხიბულის, პირველი მაისის, პირველი ხორგის, ჭალადიდის, ქვემო ქვალონის სტადიონებზე. მეოთხედფინალი შედგება 31 აგვისტოს ქ. ხობში. ნახევარფინალზე გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან 2 სექტემბერს, ხოლო ფინალური მატჩი ჩატარდება 5 სექტემბერს, სადაც გამოვლინდებიან წლის გამარჯვებულები. ტრადიციულად ტურნირი ყოველწლიურად ტარდება და მნიშვნელოვანი მოვლენაა მუნიციპალიტეტის სპორტულ სამყაროში.

### I ტურის შედეგები მინი ფეხბურთში 17 აგვისტოსათვის

სოფელ ბიისა და ახალი ხიბულის გუნდებს შორის შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 3:1 ბიის გუნდის სასარგებლოდ. საჯიჯაოს გუნდმა კი 5:2 დაამარცხა ძველი ხიბულის გუნდი. პირველი მაისის გუნდმა 11:1 სძლია სოფელ თორსის გუნდს; ხამისკურელმა ფეხბურთელებმა კი 8:5 დაამარცხეს ხეთის გუნდი; ანგარიშით 3:3 დამთავრდა შეხვედრა ქალაქ ხობისა და გურიფულის გუნდებს შორის; პირველი ხორგისა და თორსის გუნდების შეხვედრა ამგარიშით 1:1 დამთავრდა.

## პროექტები სოფლის პრობლემების გადასაჭრელად



სოფელ ძველი ხიბულის შიდა გზის რთულ მონაკვეთად ითვლებოდა საჯაკონიოს უბნის მონაკვეთი, სადაც ნალექებისა და შიდა წყლების დაგროვებით გზაზე გადაადგილება უჭირდა ისე, როგორც ფეხით მოსიარულეებს, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებებს. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გაკეთდა ხიდ–ბოგირი, გზის ორივე მხარე გამაგრდა მცირე გაბიონით. ხიდ–ბოგირი უზრუნველყოფს წყალგამტარობას, რაც მოსახლეობას მოუხსნის გადადგილების პრობლემას.

## შიდა გზების მოხრეშვა გრძელდება

სოფელ პირველმაისში მოიხრეშა სოფლის ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული უბნის საკვიკვინიოს გზა, სადაც განხორციელდა არსებული მონაკვეთის ორმული შეკეთება. შემოტანილი ინერტული მასალა გრეიდერის საშუალებით გასწორდა და გადანაწილდა გზის მთელ პერიმეტრზე.



## USAID-ის ახალი პროექტი–ხობელი ფერმერებისთვის



ხობის ფერმერთა მომსახურების ცენტრში **UUSAID**-ის, ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის პროექტის ეგიდით გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ ფერმერებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის. შეხვედრაზე წარმოდგენილიქნა აგრო- სადაზღვევო პროდუქტების დიაპაზონი და მოისმინეს ფერმერთა პრობლემები, რისი განხილვისა და შესწავლის საფუძველზე უნდა მოხდეს აგრო-სადაზღვევო პროდუქტების განვითარება და დაზღვევა. შეხვედრა წარმართა აგრო- სადაზღვევო ექსპერტმა ედგარ ბალბინმა და საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებმა. შეხვედრას დაესწრო მუნიციპალიტეტის გამგებელი იგორ ტყებუჩავა, რომელმაც განაცხადა, რომ თუ სერიოზულად ამოქმედდება მოსავლის დაზღვევის მექანიზმი, ეს მოიტანს სტაბილურობას და მადლობა გადაუხადა ფერმერთა ცენტრს – ხობელი ფერმერებისათვის სათანადო რეკომენდაციების, ურთიერთობების, შეხვედრების ორგანიზებისათვის.

## ხობის საფეხბურთო სტადიონი—სპორტულ სეზონს განახლებული მოედნით შეხვდება



ხობის ცენტრალურ საფეხბურთო სტადიონზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწვანე საფარის თანამედროვე სტანდარტებით უზრუნველყოფას ახორციელებს, რაც ითვალისწინებს გაწმენდით სამუშაოებს, არსებული შიდა ღრმულების ამოვსებას და სწორი ზედაპირის ტექნიკურ ჩამოყალიბებას, რითაც მოედანზე გასულ მოთამაშეებს კომფორტული სათამაშო პირობები შეექმნებათ. აღნიშნული პროექტი განხორციელდება სათადარიგო სავარჯიშო მოედანზეც. მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ დაათვალიერა, რომელმაც აღნიშნა ფედერაციის ძალისხმევა სპორტული ბაზების მოწესრიგებისათვის და ის ფაქტი ,რომ ხობის საფეხბურთო სტადიონი სპორტულ სეზონს განახლებული მოედნით შეხვდება თამაშის ტექნიკურ ხარისხს გააუმჯობესებს.

## სოფლებში წყალმომარაგების პრობლემები გვარდება



სოფელ ხამისქურში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგებისათვის. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში მოეწყო წყალშემკრები მონოლითური რკინა- ბეტონის ავზი, ავზზე მოწყობილია ორმაგი მილები, რომლებითაც მოხდება წყლის მარაგის შევსება და წყლის გადინება. ჩატარებული სამუშაოები წყლის დებეტის მუდმივი შენარჩუნებისათვის კარგი ბაზისია, რადგანაც ამ უბნის მომარაგება, სწორედ დებეტის ნაკლებობის გამო წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა.

## ხობში საქართველოს ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ ისტორიული ძეგლის რესტავრაცია დაიწყო



19 აგვისტოს ხობის მონასტრის სამრეკლოს აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობის შესასწავლად ჩამოვიდა სამუშაო ჯგუფი, საქართველოს ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსის პაატა გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც შეხვდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს იგორ ტყებუჩავას. მათ ისაუბრეს ხობის მონასტრის მნიშვნელობაზე, ხელისუფლების, კულტურული მემკვიდრეობის დარგში გამოჩენილ განსაკუთრებულ აქცენტზე და მიმდინარე პროექტზე, რომელმაც ეს ერთ-ერთ უდიდესი და არქიტექტურული თვალსაზრისით საინტერესო ისტორიული ნაგებობა დანგრევას გადაარჩინა. აღდგება გუმბათის სარტყელი, გადაიხურება და მოწესრიგდება წყალგამშვები სისტემა, რითაც დატენიანებისგან დაცულ იქნება სამრეკლოს კედლები, რადგანაც ეს არის ამჟამად არსებული ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა. ასევე თავდაპირველი სახით აღდგება სამრეკლოს კიბეები და სპეციალური ტექნიკით გაიწმინდება სამრეკლოს ფასადი. ,,ქვეყანა სადაც წარსულს ასე უვლიან, საუკეთესო მომავალს აშენებს'' განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგებელმა და ხობის მოსახლეობის სახელით მადლობა გადაუხადა ხელისუფლებასა და ეროვნულ სააგენტოს ამ უნიკალური მონასტრისადმი გამოჩენილი ყურადღების გამო.

## კვირაძალის წასაკითხი

# ნოდარ დუმბაძე — ჩანაწერები



ადამიანის სული, გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე.

ქვეყნის სიყვარულს საყველპუროდ და საარშიყოდ ნუ გაიხდით, სამშობლო როსკიპი ქალი არაა, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ, სამშობლო ტაძარია სალოცავი. მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ... და კიდევ ერთი, შესაწირავის მიტანა ვერავინ ვერ უნდა მოგასწროს ამ ტაძართან.

* * *

ღმერთი ისე ნათელია, ისე ახლობელი, ისე ცხადი და ისე უბრალო, რომ როდესაც ხედავ, არ იცი, რომ ღმერთია, ამიტომ არ წამთ ღმერთი. ღმერთი რომ სხვაგან იყოს, შორს ჩვენგან, ცალკე და მაღლა, ღმერთი რომ ჩვენში არ იყოს, მაშინ ყველა იწამებდა.

* * *

უამრავი ნაკლის მიუხედავად ქართველს ისეთი თაკარა გული, უმზესი სული და მაღალი ბუნება აქვს მთელს სამყაროს დასწვავდა, კავკასიონის მარადი თოვლი რომ არ აგრილებდეს და აშოშმინებდეს.

* * *

ადამიანი ტაძრის კედელზე მოხატული ფრესკა არ არის, რომ ერთ განზომილებაში უმზირო, ან მოშალო... მას ირგვლივ უნდა შემოუარო და იმ მხრიდან უმზირო საიდანაც ლამაზია.

* * *

საქართველო ძალიან ლამაზ და ჯიშიან ბედაურსა ჰგავს, ოქროს უნაგირით შეკაზმულ ბედაურს. თან ისე ლამაზ მდელოზე და გამოსაჩენ ადგილასაა დაბმული, ყველას უნდა შეაჯდეს, ლაგამი ამოსდოს და სარდლის ყიჟინით და ვაშას ძახილით გააჭენ-გამოაჭენოს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, თვითონ არის ისეთი ფაქიზი და ფეთიანი, ყველა ნაძირალას არ იჯენს ზურგზე. მხოლოდ ღირსეულებს თუ შეიჯენს ხოლმე და იმათაც თუ დაკარგეს ზომიერების გრძნობა. იმათაც გადმოაგდებს და ძირს დაანარცხებს. ბევრი მინახავს ასეთი.

* * *

მე მზე მიყვარს ძალიან, მაგრამ მზე მიწაში ვერ აღწევს. ამიტომ, ბუნებრივია, სიკვდილის შემდეგ მიწას კი არა, ცას მივაშურო, ცაში წავიდე.

* * *

მე მგონი, მზე ზეცის ვეება ტრამალზე ანთებული კოცონია, ხოლო მის გარშემო მბრუნავი პლანეტები, ცდომილები. შვიდი ცდომილი, ალბათ, თავისი თანამგზავრებით ცის ის ბინადარნი, რომლებიც ხელს და სულს ითბობენ ამ მაცოცხლებელი ცეცხლის გარშემო. დროდადრო შორდებიან, მერე კვლავ უახლოვდებიან და ასე შემდეგ... ვაი იმ ცდომილს, რომელიც ამ კოცონს საერთოდ გაშორდება.

* * *

საოცარია ხელოვნება. მხოლოდ მას შეუძლია მოითმინოს და შეიფაროს სულით ავადმყოფთა მრავალმილიონიანი არმია, კაცობრიობის თითქმის მესამედი. განა სხვა რომელიმე პროფესიას აქვს ამის უნარი, არა, იგი ნორმიდან ერთი სანტიმეტრით, ერთი გრადუსით გადახრილ ადამიანსაც კი ვერ ითმენს. ხელოვნება და პოლიტიკა კი მთელი 180 გრადუსით გადახრილ ადამიანებს ხშირად გენიოსის შარავანდედით ამკობს და თაყვანს სცემს. აი, რა არის ხელოვნება გარდა ჭეშმარიტი ტალანტებისა, სულით ავადმყოფთა თავშესაფარიც არის. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანის სულიერი ცხოვრების სამყაროს მიეკუთვნება და არა მატერიალურს.

* * *

დაბადება თავისთავად არის უსაზღვრო ლტოლვა თავისუფლებისაკენ და სინათლისაკენ და რა ძნელია და მტკივნეული ეს პროცესი, მხოლოდ მშობიარე ქალმა იცის. ჩვენ ხშირად ვხვდებით ამ პროცესის მოწმენი, მაგრამ ამაზე არასოდეს გვიფიქრია.

* * *

-რატომ დაინგრა ბაბილონის გოდოლი? -იმიტომ რომ, მისი მშენებლები ყველა გამვლელ-გამომვლელის რჩევა-დარიგებას უგდებდნენ ყურს.

* * *

არაფერი არასდროს ისე სამარცხვინოდ და თავისმომჭრელად არ ითვლებოდა სქართველოში, როგორც უპატიოსნება და ქურდობა. მარტო ის რად ღირს, რომ ქურდს მეგრულად მახინჯი ჰქვია და ეს მახინჯი საქართველოში ერთიც, რომ იყოს, მაინც უნდა გადაშენდეს, რამეთუ ქართული ანდაზა ღაღადებს: ას მშენებელს ერთი მნგრეველი აუთავდებაო.

* * *

მზესა და გენიოსებს ორი თვისება აქვთ: ორივე საოცრად ნათელია და ორივე სიცოცხლის შემოქმედი. ახლა მე მზეზე კი არა, აკაკიზე მოგახსენებთ. ალბათ, 7 თუ 8 წლის ვიქნებოდი, კარგად არც კი მახსოვს, აკაკის „განთიადი“ რომ მასწავლეს. ვისწავლე და გავოცდი იმიტომ კია არა, რომ აკაკის გენიოსობა შევიგრძენი, არა, ავხედე ცას და ფირუზის ფერი იყო, დავხედე ხმელეთს და ზურმუხტის ფერი იყო, სამშობლოსთვის რომ უნდა მოვმკვდარიყავი, ეს დედისგან ვიცოდი და გამიკვირდა ასე თავისუფლად, ასე უბრალოდ, ასე გასაგებად ამას ხომ მეც ვიტყვი – მეთქი. . . და აი უკვე 40 წელია ვეჯიბრები აკაკი წერეთელს, რომ განთიადის მსგავსი ერთი ლექსი მაინც დავწერო და ბოლოს მივხვდი, რომ მთელი ჩემი შემოქმედება ამ ლექსის ერთი სტრიქონის ფასადაც არ ღირს. და მე კიდევ ერთს მივხვდი, კერძოდ, იმას, რომ „განთიადი“ კაცის დაწერილი არ არის, ასეთ ლექსებს ადამიანები არ წერენ, ეს მათ ძალღონეს აღემატება. დიახ, ეს ლექსი ღვთის ბაგიდან არის გამოსული და ნაკარნახევი. ერი და ერისკაცი ზიარ ჭურჭელს ჰგავს, ისინი ერთმანეთს ავსებენ და აცოცხლებენ. როგორც დღე მისდევს დღეს, ისე მიდიან თაობები და ცვლიან ერთმანეთს, მაგრამ აკაკი, ბულბული საქართველოსი, შუამავალი ცისა და მიწისა, უცვლელია. იგი ყოველ დილას ამოდის საქართველოს ცაზე ბრდღვიალა მზესავით, რომ ნათელი მოჰფინოს სულ ახალ და ახალ თაობებს

* * *

ჩემში ეჭვს იწვევს- ღირს თუ არა იმის გამო ტირილი, რაც სულერთია ახლა აღარ იქნებოდა. ეს მახსოვრობის ყველაზე დიდი მანკიერი მხარეა. ნეტა ვინ მოიგონა?-რომ არ მომკვდარიყო, ახლა გენერალი იქნებოდაო.-ან- რომ არ მოეკლათ, ლეიტენანტი კი არა, ახლა გენერალი იქნებოდაო. კაციშვილმა არ იცის, რომ არ მოეკლათ, იქნებ ის ლეიტენანტობაც ჩამოერთმიათ. ვინ იცის?



# ჯილეხის პროფილაქტიკისთვის!

**უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე საქართველოში ჯილეხით 10-ზე მეტი ადამიანი დაავადდა. ე.ი. წინა წელთან შედარებით მოიმატა დაავადებული ადამიანების რაოდენობამ, რის გამოც საკითხი აქტუალურია და ყურადღების მიქცევას საჭიროებს. ამ საკითხებზე ვესაუბრეთ ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმ-პროფილაქტიკოსს ბატონ *ჯუმბერ ტურავას*:**

***ბატონო ჯუმბერ, განგვიმარტეთ, რა არის ჯილეხი?***

–ჯილეხი (ციმბირული წყლული) სერიოზული დაავადებაა, რომელსაც ბაქტერია იწვევს და სპორებს წარმოქმნის. სპორა მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფი უჯრედია, რომელიც სათანადო გარემოპირობებში მოხვედრისთანავე შეიძლება გამოცოცხლდეს. სპორები გამოირჩევიან მაღალი გამძლეობით, ათწლეულების განმავლობაში ძლებენ ნიადაგში, ჯილეხით გარდაცვლილი ცხოველის გვამი მიწის სიღრმეში 2 მეტრზე უფრო ღრმად უნდა დაიმარხოს, სამარხი ტერიტორია უნდა შემოკავდეს.

*არსებობს ჯილეხის ოთხი ფორმა:* კანის, ოროფარინგული, ფილტვების (ინჰალაციური), საჭმლის მომნელებელი სისტემის (გასტროინტესტინური).

***როგორ ხდება ჯილეხით ინფიცირება?***

–ჯილეხი არ ვრცელდება ადამიანიდან ადამიანზე. ადამიანები ჯილეხით შეიძლება დაავადნენ ინფიცირებული ცხოველების დამუშავებისას ან დასნებოვნებული ცხოველთა პროდუქტისაგან. (ხორცი, ხორცის პროდუქტები, მატყლი, ტყავი). ჯილეხის სპორების შესუნთქვისას. ადამიანები შეიძლება დაავადნენ ჯილეხის **გასტროინტესტინური** ფორმით, როდესაც ისინი საკვებად მიიღებენ ჯილეხით დასნებოვნებული ცხოველის თერმულად ცუდად დამუშავებულ ხორცს. ჯილეხის **კანის ფორმა** ადამიანს გადაეცემა დაავადებული ცხოველთან პირდაპირი კონტაქტით და მწერების ნაკბენით. ჯილეხის ოროფარინგული **და გასტროინტენსიური ფორმით** ადამიანი ავადდება ხორცით და ხორცის პროდუქტებით, დაავადებული ცხოველიდან. **პირდაპირი–ინტესტიური ფორმით,** ადამიანი ავადდება ხორცით და ხორცის პროდუქტებით, ჯილეხის **ფილტვების ფორმა** ვითარდება ჯილეხის სპორების შესუნთქვისას.

***რამდენად საშიშია ჯილეხი?***

–ის მიეკუთვნება განსაკუთრებით საშიში ინფექციების კატეგორიას. უმრავლეს შემთხვევაში, **კანის ფორმის** დროს ანტიბიოტიკებით ადრეული მკურნალობით, შესაძლებელია განკურნება. **გასტროინტესტინური ფორმა** უფრო მძიმეა, ვინაიდან დაავადებულთა ნახევარზე მეტი იღუპება. **ინჰალაციური** ჯილეხი კი ყველაზე რთული ფორმაა.

***ჯილეხისათვის რა სიმპტომებია დამახასიათებელი?***

–ჯილეხის სიმპტომები დაავადების ფორმის მიხედვით განსხვავებულია:

კანის ფორმის დროს პირველი სიმპტომია კანზე მცირე ზომის დაზიანების წარმოქმნა, რომელიც შემდგომ ბუშტუკად გარდაიქმნება, ბუშტუკისაგან წარმოიქმნება წყლული შავი ცენტრით. არცერთი მათგანი მტკივნეული არ არის.

ოროფანგული ფორმის სიმპტომებია: ცხელება, ყელის ძლიერი ტკივილი, მძიმე ფარინგიტი, კისრის ცალმხრივი შეშუპება, დისფაგია, უკანა ოროფარინგული მიდამოს დაზიანება.

გასტროინტესტინური ფორმის დროს პირველი სიმპტომებია: გულისრევა, მადის დაქვეითება, სისხლიანი ფაღარათი, ცხელება, შემდგომ კი მუცლის არეში ტკივილი.

ინჰალაციური ფორმის დროს პირველი სიმპტომები ჰგავს გაციებისა და გრიპის სიმპტომებს, კერძოდ კი ყელის ტკივილი, ტემპერატურის მსუბუქი მომატება და მიალგია. მოგვიანებითი სიმპტომებია: ხველა, დისკომფორტი გულმკერდის არეში, სუნთქვის უკმარისობა, დაღლილობა და მიალგიები.

***ინფიცირებიდან რამდენ ხანში ხდებიან ავად?***

–ჯილეხის ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 1–12 დღე, ჯილეხის სამივე ფორმის შემთხვევაში ბაქტერიებთან კონტაქტიდან 7 დღეში ვლინდება სიმპტომატიკა. ინჰალაციური ჯილეხის შემთხვევაში სიმპტომები შეიძლება ერთ კვირაში ან 42 დღის განმავლობაში გამოვლინდეს.

***როგორ ხდება ჯილეხის მკურნალობა?***

–ჯილეხის ყველა ფორმის მკურნალობისას გამოიყენება ანტიბიოტიკები. ადრეული ამოცნობა და მკურნალობა ძალიან მნიშვნელოვანია. ანტიბიოტიკებით მკურნალობა ჩვეულებრივ 60 დღე გრძელდება. მკურნალობის ეფექტურობა დამოკიდებულია ჯილეხის ფორმაზე და მკურნალობის დროულ დაწყებაზე. მკურნალობა განსხვავებულია იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს ჯილეხთან ჰქონდა კონტაქტი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ინფიცირებული. ექიმები ამ შემთხვევაში გამოიყენებენ ანტიბიოტიკებს (ციპროფლოქსაცილინი, დოქსოციკლინი ან პენიცილინი) ვაქცინასთან კომბინაციაში, რომ მოხდეს ჯილეხის განვითარების პრევენცია.

***როგორ ხდება ჯილეხის განვითარება და კონტროლი?***

–საწყისი ინფექციის პრევენციისათვის ტარდება რისკის ქვეშ მყოფი ცხოველების იმუნიზაცია და პოტენციურად დაბინძურებული ნივთების გავრცელების კონტროლი. საფრთხის მატარებელ საწარმოებში მომუშავე პერსონალს უტარდება საგანმანათლებლო საუბრები.

ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად სხვადასხვა რეგიონში ადგილი აქვს ჯილეხით ადამიანთა დაავადებების ერთეულ შემთხვევებს, საჭიროა, ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ ნუ შეიძენენ ხორცს და ხორცის პროდუქტებს ვაჭრობისათვის ნებადაურთავ ადგილებში, კერძოდ: ქუჩებში, ავტომაგისტრალებზე, კერძო პირებისაგან. ხორცის და მისი პროდუქტების შეძენა შეიძლება მხოლოდ-დამხოლოდ ლიცენზირებულ სასურსათო მაღაზიებში და ბაზრობებზე, რომლებშიც ვეტერინარული სამსახურების მიერ ყოველდღიური ლაბორატორიული შემოწმება ტარდება.

ადამიანებმა ჯილეხის დაავადების საეჭვო სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ ტერიტორიულ სამედიცინო დაწესებულებებს.

**ესაუბრა ნანა კემულარია**

ინტერნეტიდან

## ბიბლიოთეკა ლუდის ქილებისაგან



გერმანიის ქალაქ მაგდებურგის მცხოვრებლებმა ლუდის ცარიელი ქილების ორიგინალურად გამოყენება გადაწყვიტეს და მათგან ქალაქის ბიბლიოთეკა ააგეს. კომპანია Karo Architekten-ის მიერ აგებულმა შენობამ, რომლის დიზაინიც პოპ-არტის სტილშია გადაწყვეტილი, Brit Insurance Architecture Award-ის ყოველწლიურ კონკურსში გაიმარჯვა და პრესტიჟული ჯილდოს – „წლის დიზაინის" მფლობელიც გახდა. ბიბლიოთეკისთვის წიგნებს ჯერ კიდევ მისი მშენებლობის დაწყების დღიდან იღებდნენ. წიგნები ღია სივრცეშია დალაგებული, ისინი ყველასთვის ხელმისაწვდომია – შეგიძლია უბრალოდ მიხვიდე და აიღო სასურველი წიგნი. აქვე ეწყობა საჯარო კითხვა, ტარდება სასკოლო თეატრალური წარმოდგენები, კონცერტები და სხვა კულტურული ღონისძიებები.

## საფოსტო ყუთით... ლეკვი

მინესოტას შტატის ქალაქ მინეაპოლისში მცხოვრები სტეისი ჩემპიონი სასწრაფო საფოსტო გზავნილით ლეკვის გაგზავნას ცდილობდა. როგორც ადგილობრივი ტელეარხი იტყობინება, 3 თებერვალს ლეკვი ქალმა ყუთში საჭმლისა და წყლის გარეშე ჩასვა და ფოსტის თანამშრომლებს დაუმალა, რომ გზავნილის ყუთში ცოცხალი არსება იმყოფებოდა.

თვითონ ჩემპიონმა თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ სხვა ქალაქში მცხოვრები ნათესავებისთვის სიურპრიზის მოწყობას გეგმავდა და მოულოდნელობის ეფექტის გამოყენება სურდა, ამიტომაც არ გაამხილა, რომ ყუთში ლეკვი იყო ჩასმული.

ლეკვი შემთხვევით აღმოაჩინეს ფოსტის თანამშრომლებმა. როცა ყუთს ფუთავდნენ, ლეკვმა ფაფხური დაიწყო და ყუთი შესაფუთი მაგიდიდან იატაკზე დავარდა.

განყოფილებაში სასწრაფოდ მივიდნენ შინაურ ცხოველთა დაცვის სამსახურის თანამშრომლები და ლეკვი გადაიბარეს. სწორედ მათი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება ლეკვი მანამ, სანამ მის წასაყვანად სტეისი ჩემპიონი მივა.

იმ შემთხვევაში, თუ ცხოველთა დამცველებმა სტეისი ჩემპიონი არაშესაფერის პატრონად მიიჩნიეს, არათუ ძაღლს არ დაუბრუნებენ, არამედ შესაძლოა, ორგანიზაციამ სასამართლოშიც კი უჩივლოს ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობის გამო.

## დინოზავრი „ნესი"



შოტლანდიაში არსებობს ტბა სახელად ლოხ-ნესი... ტბა ცნობილია მთელს მსოფლიოში ლოხ-ნესის ურჩხულის ლეგენდის წყალობით. მისი ფართობია 65 კმ2. ტბის მაქსიმალური სიღრმეა - 230 მეტრი. არსებობს ლეგენდა ამ ტბაში „ურჩხულის" არსებობაზე... ძნელია ამის დაჯერება, მაგრამ უამრავ ადგილობრივ მცხოვრებს თავისი თვალით ყავს ნესი ნანახი... მეცნიერების ერთ-ერთი მოსაზრება ისაა, რომ ნესი დინოზავრების ერთადერთი გადარჩენილი შთამომავალია...

ფოტო მასალა ძალიან ცოტაა, რადგან ნესის ყველა თვითმხილველი ამბობს, რომ ურჩხული სულ რამდენიმე წამით გამოჩნდა წყლის ზედაპირზე.

## ორანგუტანგისა და ძაღლის მეგობრობის ამბავი



ორანგუტანგისა და ძაღლის მეგობრობა ვითომ წარმოუდგენელია, მაგრამ ორანგუტანგმა საირიამ და ძაღლმა როკომ სტერეოტიპები დაამსხვრიეს. ისინი განუყრელი მეგობრები არიან.

ამ საოცარმა დუეტმა უკვე მოიარა მსოფლიოში ცნობილი ჟურნალის National Geographic-ის ფურცლები, მათ დრო საკუთარ შოუებში ოპრა უინფრიმ და ელენ დეჯენერესმაც დაუთმეს.

„როგორც წესი, ძაღლებს ორანგუტანგების ეშინიათ, მაგრამ როკო საირიას სათამაშოდ თავიდანვე იწვევდა", - იხსენებს ამ საოცარი მეგობრობის დასაწყისს მკვლევარი ფხაგავან ანტლე.

საირია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ორანგუტანგის ნაირსახეობას განეკუთვნება. ის და როკო 4 წლის წინ დამეგობრდნენ.

თურმე, როკო ძალიან სუსტი ლეკვი ყოფილა, საირია კი მუდმივად უვლიდა და ეფერებოდა.

მათი მეგობრობის ამბავი წიგნადაც გამოვიდა. წიგნს „საირია და როკო" ქვია.

## dior–ის პირველი ჩვენება გალიანოს გარეშე



ცნობილი სკანდალის შემდეგ, რომელიც Dior-ის სახლიდან ჯონ გალიანოს გაგდებამ გამოიწვია, მოდის მიმდევრები სულმოუთქმელად ელოდნენ კოლექციას, რომელიც გალიანოს გარეშე უნდა შექმნილიყო.

ეს მოლოდინი სრულიად მოსალოდნელი და გამართლებული იყო, რადგან გალიანო მოდის სახლს 15 წელი ხელმძღვანელობდა. ამიტომ ჩვენებაზე მისულ მაყურებელს კოლექციაზე მეტად ის აინტერესებდა, ვინ გამოვიდა დეფილეს დასრულების შემდეგ და ვინ დაუკრავდა მათ თავს.

აღმოჩნდა, რომ კოლექცია წლების განმავლობაში გალიანოს ჩრდილის ქვეშ მყოფ დიზაინერს ბოლ გეიტენს, სუსან ვენეგასთან ერთად შეექმნა. ეს იყო და ეს... ასე, რომ ინტრიგა შოუს დასრულების შემდეგაც გაგრძელდა.

აღსანიშნავია, რომ კოლექცია მაქსიმალურად მომხმარებელზე იყო გათვლილი და არა სანახაობაზე, ისე როგორც გალიანოს დროს.

## შვიდი წლის „სამხედრო მფრინავი"

შვიდი წლის ლონდონელმა ბიჭუნამ eBay-ს ონლაინ-აუქციონზე კინაღამ ბრიტანული რეაქტიული გამანადგურებელი, Harrier შეიძინა. ტელეარხ „ფოქსის" ცნობით, ბავშვი კომპიუტერში შემთხვევით გადააწყდა განცხადებას გამანადგურებლის გასაყიდად გამოტანის შესახებ (მისი ფასი 69 999 ფუნტი სტერლინგი, ანუ 113 ათასი დოლარი იყო), გამანადგურებლის ფოტომ მოხიბლა და ბრძანება „ყიდვა" გააქტიურა.

მალე ბავშვის მოქმედების შესახებ მამამისმა შეიტყო. იგი სასწრაფოდ დაუკავშირდა აუქციონის მესვეურებს, აუხსნა, რომ მისი 7 წლის ბიჭუნა გამანადგურებლის ყიდვას ვერ შეძლებდა და ოპერაციის გაუქმება მოითხოვა.

„ფოქსის" ჟურნალისტი ორგანიზაცია Jet Art Aviation-ს დაუკავშირდა, რომელიც თანამედროვე თვითმფრინავებსა და მათ სთადარიგო ნაწილებს ონლაინ-აუქციონების დახმარებით ჰყიდის, სადაც დაადასტურეს, რომ მსგავსი შემთხვევა ნამდვილად მოხდა და ბავშვის მამაც ნამდვილად დაუკავშირდათ.

5 თებერვლის მონაცემებით, ავიაგამანადგურებლის გაყიდვის შესახებ განცხადება ონლაინ-აუქციონიდან მოხსნილია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ან უკვე გაიყიდა, ან კიდევ, ამ კომიკური შემთხვევის შემდეგ, მისი ამ ფორმით გაყიდვა გადაიფიქრეს.

Harrier ტიპის ავიაგამანადგურებლები ინგლისში 60-იან წლებში შეიმუშავეს. ამ გამანადგურებლების მთავარ ღირსებად ვერტიკალურად აფრენისა და დაშვების უნარი უნდა ჩაითვალოს.

## რას გვეტყვი მამაო?

***მართლმადიდებელ მამათა სწავლების მიხედვით, კითხვებს პასუხობს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, დეკანოზი ლევან მათეშვილი:***

***რა სიმბოლო აქვს პირჯვრის გადაწერას?***

–ჯვარი შემმუსვრელია დემონთა, ჯვარი ძლევაა და გამარჯვება, ამიტომაც პირჯვარი ხშირად უნდა გადავიწეროთ, რათა ბოროტმა ძალამ არ შემუსროს ჩვენი სული. პირჯვრის გადაწერისას ადამიანს უნდა ახსოვდეს გოლგოთა და აღდგომა. წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი ბრძანებს: „გლახაკებს თხოვნა შეფერით, ცოდვის დაცემის შედეგად დაგლახაკებულ ადამიანებს - ლოცვა. მარჯვნიდან მარცხნივ იმიტომ ვიწერთ პირჯვარს, რომ ეს ერთგვარი თხოვნაა უფლისადმი, რომ ამ სოფლიდან გასვლის შემდგომ მარჯვენით მიგვიღოს მან, როგორც აღდგა და დაჯდა მარჯვენით მამისა".

***შეიძლება თუ არა ფსალმუნი და ჩვეულებრივი საათი ერთად ვატარო მაჯაზე?***

–რასაკვირველია, შეიძლება. ფსალმუნი, ჯვარი და ყოველი საეკლესიო სიწმინდე, რომელსაც ატარებთ, რწმენის გამოხატულება უნდა იყოს და არა სამკაული, რომელიც რაღაცას უნდა შეუხამო.

***როგორ მოვიქცეთ, თუ რაიმე მიზეზით ნაკურთხი წყალი გაგვიფუჭდა, დავლიოთ მაინც თუ გადავაქციოთ?***

–თავდაპირველად, უნდა აღვნიშნოთ, რომ თუკი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით ცნობილია, რომ ნაკურთხი წყალი არ ფუჭდება, თქვენს შემთხვევაში სახეზეა უდიერად მოპყრობის ფაქტი: წყლის დაუდევრად, დაზიანებულ, დასვრილ ჭურჭელში შენახვით.

ასეთი წყალი კი უნდა გადავასხათ მდინარეში (გამდინარე, არა მდგარ წყალში).

***მინდა მოვქარგო წმინდა მარიამის ხატი, მაქვს თუ არა მოქარგვის უფლება მღვდლის კურთხევის გარეშე, თუ მერე ისედაც ვაპირებ ხატის ჩემს სახელზე კურთხევას***?

–თქვენი სურვილი, მოქარგოთ წმინდა მარიამის ხატი, მეტყველებს დედაღვთისას მიმართ თქვენს სიყვარულზე და სასიხარულოა, მაგრამ ხატს აქვს თავისი შესრულების კანონიკა. თუ თქვენ აპირებთ რომელიმე ცნობილი ხატის ასლი გადაიღოთ, ლოცვა-კურთხევა აუცილებელია.

***მსმენია, რომ მკითხავთან მისულ ადამიანს შვიდი წელი ეკრძალება ეკლესიაში შესვლა. მართლა ასეთი მკაცრი აკრძალვებია ქრისტიანობაში?***

–უძველესი დროიდან ძალზედ მკაცრი კანონები იყო იმ ქრისტიანის მიმართ, ვინც ჯადოსანს და მკითხავს მიმართავდა დახმარებისთვის. დღეს ეს კანონი მთელი სიზუსტით ვერ სრულდება, რადგან თითქმის საუკუნის მანძილზე ჩვენი ერი მოკლებული იყო სრულფასოვან სასულიერო ცხოვრებას. სასჯელის სახით მორწმუნე იღებს ეპიტიმიას და ***გარკვეული ეპიტიმიის შემდეგ მას შეუძლია შეუერთდეს ეკლესიის მრევლს.***

***რა დანიშნულება აქვს სახლის კურთხევას?***

–სახლის (ოჯახის) კურთხევისას მღვდლის ლოცვით ოჯახზე გადმოდის ღვთის მადლი, მაგრამ ღვთის შეწევნა ოჯახის იმ წევრებზე მოდის, რომლებიც ქრისტეს წმინდა მცნებებით იცხოვრებენ; ეს ძალიან კარგად ჩანს თვით სახლის კურთხევის ლოცვებშიც. ამიტომ კარგია და აუცილებელიც სახლის (ოჯახის) კურთხევა, მაგრამ უმთავრესია საკუთარი სულის განწმენდა, ანუ ნამდვილი ქრისტიანული (ეკლესიური) ცხოვრება.

***მამაო, რომელი ლოცვები უნდა წარმოვთქვათ, როდესაც ახლობელი ადამიანის ჯანმრთელობას ვავედრებთ უფალს?***

–გულით წაკითხული ნებისმიერი ლოცვა შესმენილი იქნება!

***შეიძლება თუ არა ორი ჯვრის ერთდროულად ტარება?***

–ორი ჯვრის ერთდროულად ტარება შეიძლება, თუ საამისოდ სასულიერო პირის კურთხევა გაგაჩნიათ ან ეს ჯვარი წამოღებულია წმინდა ადგილიდან, მაგალითად, ნაკურთხია უფლის საფლავზე. ასეთ დროს არსებობს ამ ჯვრის ტარების საფუძველი ნათლობის ჯვართან ერთად. სხვა შემთხვევებში უნდა ვატაროთ ერთი ჯვარი, რადგან ქრისტე ერთ ჯვარზე იყო ვნებული.

***ვარ ცაცია. შეიძლება თუ არა პირჯვარი გადავიწერო მარცხენა ხელით?***

–არ შეიძლება. პირჯვრის გადაწერა მარცხენა ხელით მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ მარჯვენა ხელი დაზიანებული გაქვთ და ვერ ხმარობთ. ასეთ დროსაც კი პირჯვრის გადაწერის მიმართულება უნდა დაემთხვეს მარჯვენა ხელით პირჯვრის წერას.

***მყავს ორი ვაჟი. როცა უფროსი ერთი წლისა იყო, მოულოდნელად ცუდად გამიხდა. შევფიცე უფალს, ოღონდ შვილი კარგად მეყოლოს და, რომელი საჭმელიც მიყვარდა, ჩემს სიცოცხლეში იმას არ მივეკარები-მეთქი. უკვე 18 წელია შემწვარი ქათმის ხორცი არ მიჭამია. იგივე დამემართა უმცროს ვაჟზეც და არ ვჭამ მზესუმზირას.***

***გთხოვთ, განმიმარტოთ, აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა ასეთ დანაპირებს?***

–მომავალში, როცა რაიმე თხოვნა კეთილად აგიხდებათ, სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეთ ხოლმე. თქვენს კონკრეტულ შემთხვევაში კი, რადგან პირობა მიგიციათ უფლისათვის, კიდეც უნდა აასრულოთ!

# აუქციონი

## ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემაზე აუქციონის გამოცხადების შესახებ

## საპრივატიზებო შენობების ნუსხა

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ექსპლუატაციისთვის უვარგისი, ბალანსიდან ჩამოსაწერი შენობების პრივატიზებაზე და სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

| ქონების დასახელება | ადგილმდებარეობა | საწყისი გასაყიდი ფასი | „ბე"-ს ოდენობა 20% | სავაჭრო ბიჯის ოდენობა 10% | მონაწილის ბილეთის ფასი |
|---|---|---|---|---|---|
| საბავშვო ბაღის შენობა | სოფელი ზემო ქვალონი | 590 | 118 | 59 | 20 |
| სასოფლო კლუბის შენობა | სოფელი ზემო ქვალონი | 920 | 184 | 92 | 20 |
| სასოფლო კლუბის შენობა | სოფელი პატარა ფოთი | 2378 | 475.60 | 237.80 | 20 |
| კლუბის შენობა | სოფელი ჭალადიდი | 660 | 132 | 66 | 20 |

## ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე

| შენობის დასახელება | მისამართი | ოთახის ფართი (კვ.მ) | სარგებლობის ფორმა | გასაიჯარებელი ქონების ღირებულება | იჯარის წლიური ქირა 20% | სავაჭრო ბიჯის ოდენობა 10% | მონაწილის ბილეთის ფასი (ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადმინისტრაციული შენობა | ქ. ხობი ც. დადიანის ქ. № 189 | 41 | იჯარა | 3453 | 690 | 69 | 20 |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი, ც. დადიანის ქუჩა №198, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა. ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე. 10 საათიდან 18 საათამდე (შაბათ–კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10 საათიდან 14 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2011 წლის 2 სექტემბერი, $15^{00}$ სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–20122900, მიმღები ბანკი– სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი– 220101222, სახაზინო კოდი– 300403313.

აუქციონის ფორმით შენობის პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 10 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, მყიდველმა საკუთარი ხარჯებით უნდა მოახდინოს შენობის დაშლა, ტერიტორიის გაწმენდა ნარჩენებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ) „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

**გამყიდველი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

სულთათანა

## თალიკო ქითანავა_ბუკია



53 წლის ასაკში დამთავრდა შენი ლამაზი სიცოცხლე. წელიწადი და სამი თვე ებრძოდი განუკურნებელ სენს. შენმა ოჯახმა, შვილებმა, მთელმა საგვარეულომ თუ სანათესაომ ყველაფერი გააკეთეს შენთვის. ჩვენ, ბაღის თანამშრომლებიც, შენს გვერდით ვიყავით, მაგრამ თურმე ამაოდ ვცდილობდით შენი ბედის შეცვლას.

29 ივლისის დილა თავზარდამცემი იყო, როგორც შენი საყვარელი ოჯახისთვის, ასევე მთელი ბაგა-ბაღის კოლექტივისთვის, სადაც სამ ათეულ წელზე მეტი გაატარე და მთელი რუდუნებით ემსახურებოდი ძლიერი და ჯანსაღი თაობის აღზრდის საქმეს.

შენ ხომ ძლიერი, მისაბაძი და არაჩვეულებრივი დედა იყავი, ყველაფერი გააკეთე იმისთვის, რომ შენი სოფიკო და ალიკასთვის მათი ნიჭიერების შესაფერისი სწავლა–განათლება მიგეცა... ორივე დააკვალიანე, მათი კარგი სამსახურებით ამაყობდი და ხარობდი, მათ ბედნიერებაზე ფიქრობდი. შენს ერთგულ მეუღლესთან, როლიკოსთან ერთად სოფიკოს გათხოვებისა და ალიკას დაოჯახებას გეგმავდით, რომელიც შენი ხანმოკლე სიცოცხლის ბოლომდე ვერ განახორციელე, სხვის შვილიშვილებს ეფერებოდი და ეალერსებოდი, შენების ხელში აყვანა შენთვის ხომ მიუწვდომელი გახდა.

შენ მთელი ცხოვრება ღირსეულად იცხოვრე, იყავი ძლიერი და ერთგული მეუღლე, მებრძოლი სულის ადამიანი, ალალ-მართალი, სტუმართმოყვარე, კეთილი, ძველ ტრადიციებზე აღზრდილი ყველას თანაბრად რომ უნაწილებდი შენს სითბოსა და სიყვარულს.

დრო არაფერს არ ცვლის. შენ ისევ ჩვენთან იქნები, შენი ხსოვნა უკვდავი იქნება, დავიწყებას არ მიეცემა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული, არ მოკლებოდეს ღვთიური მადლი შენს სულსა და საფლავს. ჩვენ კი ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, შენს საფლავზე ყვავილებით მოვიდეთ, სანთლები დაგინთოთ შენი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

მშვიდობით, ჩვენო საყვარელო თამრიკო!

***ხეთის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები.***

## ნინა გოგინავა და ჟორჟი გერგაია





ფერისცვალების წმინდა დღესასწაული ახლოვდება, როგორ გიყვარდა ბებო, შემოივლიდი ეზოს, დაკრეფდი ხილს და მოიხსენებდი გარდაცვლილთა სულებს.

წუთია წუთისოფელი, ულმობელი და შემზარავი, შემზარავი და აუტანელი როცა სამუდამოდ ეთხოვები შენთვის ძვირფასს და საყვარელ ადამიანებს. სულით ხორცამდე მენატრებით ჩემო მარად საფიცრებო, რას არ დავთმობდი, რომ თუნდაც ერთი საათით ჩამახედა თქვენი ნათელი სახეებისთვის. მუდამ ჩამესმის თქვენი შეძახილები.

ვცხოვრობთ თქვენი წარსულით, დედას ძალიან უჭირს უთქვენობა. მისი დამსახურებით თქვენეულ კერაზე თქვენეული ადათ-წესებით გვაცხოვრებს და შვილიშვილებსაც შთააგონებს ტრადიციებს, ოჯახში ყველა ნივთს, რომელიც თქვენ გეკუთვნოდათ და შემოგვრჩა, სათუთად ეპყრობა ჩემი ანუკა, დღე არ გავა ნინა ბებო არ გაიხსენოს, გული მტკივა ჩვენთან რომ არ ხართ, თუმცა ვფიქრობ, შეიძლებოდა კიდევ დიდხანს გეცოცხლათ, რომ არა ის ტკივილიანი დღეები, რაც წუთისოფელმა გარგუნათ. მეამაყება ჟორჟი გერგაიასა და ნინა გოგინავას შვილიშვილი, რომ ვარ!

ნათელში გამყოფოთ წმინდა სალოცავებმა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ თქვენი სულებისათვის.

**ნუგზარ გერგაია**

## შალვა ლატარია



ადამიანები ამ წუთისოფლიდან ერთმანეთს ვაცილებთ და საყვარელი ადამიანის დაღუპვით გამოწვეული მოურჩენელი ტკივილი და სევდა გვრჩება, ნუგეშად კი მათ სულებზე ლოცვა და მათზე მოგონებები.

ჩემი მეხსიერებიდან თითქმის ყოველდღე ისე ჩუმად, დინჯად ამოტივტივდები მამი, როგორიც ცხოვრებაში იყავი, გულსა და სულს ამიფორიაქებს შენზე მონატრება. თვალწინ შენი ნათელი სახე გაცოცხლდება უბოროტო თვალებითა და ღიმილით. კეთილად გავლილი ცხოვრების გზა ეპიზოდებად გაიელვებენ გონებაში და მგონია, თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი–ჩვენს გვერდით ტრიალებდი, ზურუნავდი ჩვენზე, გვანებივრებდი... მაგრამ ზომიერებას არასდროს კარგავდი, არ გვათამამებდი, მხოლოდ ჩემთან და შვილიშვილებთან ვერ იჩენდი ამ მხრივ სიფრთხილეს. ახლა ნეტავ ცოცხალი იყო, შენი მონაგარის სიმრავლით ხომ გაიხარებდი.

12 აგვისტოს 24 წელი შესრულდა, რაც უეცრად გიმტყუნა კეთილმა გულმა და იმქვეყნიურ სასუფეველში დაიდე ბინა. სამი წლის თავზე დიდი უბედურება დაგვატყდა მამი, სრულიად ახალგაზრდა შენი შვილი ჯანელი, ავტოკატასტროფის მსხვერპლი გახდა, გული გვეწვის მის გამო, ეს დანაკლისი სულის ტკივილი და ტანჯვაა ჩვენთვის... მამი შენი ადგილი ჩვენს გულებში ისევ ამოუვსებ ტკივილად გვრჩება, ყველას გვენატრები...

ნათელში გამყოფოს უფალმა შენს საყვარელ შვილთან ერთად. მშვიდად განისვენეთ!

**ჯულიეტა ლატარია**

# რა არის ID ბარათი!?

2011 წლის 1 აგვისტოდან საქართველოში ახალი თაობის პირადობის მოწმობების გაცემა დაიწყო. სექტემბრიდან ბარათები მთელი საქართველოს მასშტაბით გაიცემა. მისი ღირებულება 30 ლარია და ერთ სამუშაო კვირაში დამზადდება. მოქალაქეებს, მიუხედავად მათი რეგისტრაციის ადგილისა, ID ბარათის მიღება იუსტიციის სახლებსა და სამოქალაქო რეესტრის ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში შეეძლებათ.

## ყველაფერი ერთ მოწმობაში






*იუსტიციის სამინისტროს ცნობით, ID ბარათი მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისგან დაცული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტია. ამ დოკუმენტით შესაძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია დისტანციურად. ბარათი ელექტრონული დოკუმენტების ციფრული ხელმოწერით დადასტურების საშუალებასაც იძლევა.*

ID ბარათში მოთავსებულია ორი ელექტრონული მატარებელი: კონტაქტური და უკონტაქტო, პირველზე დატანილია პირის პერსონალური მონაცემები, ხოლო მეორე განკუთვნილია სხვადასხვა სახის სერვისისთვის. შესაბამისად, მოქალაქეებს ექნებათ საშუალება ისარგებლონ მხოლოდ ერთი, უნივერსალური ბარათით. ბარათი მოგცემთ საშუალებას, ნებისმიერი ადგილიდან მიიღოთ მრავალფეროვანი მომსახურება. მაგალითად, თუ ორგანიზაციის დასაფუძნებლად თქვენ განსაზღვრულ ადგილზე მისვლა და თქვენი პირადობის მოწმობის ჩვენება გიწევდათ, ახლა თქვენ შეძლებთ იმავეს გაკეთებას სახლიდან გაუსვლელად, დროისა და ენერგიის ზედმეტი დახარჯვის გარეშე. ბარათი შეიცავს ციფრულ ხელმოწერას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ყველა იმ სერვისში, რომელიც პიროვნების ნების გამოხატვის დადასტურებას მოითხოვს. კერძოდ, ხელშეკრულებების გაფორმებისას, საგადასახადო ფორმების წარდგენისას, საბანკო ანგარიშის გახსნისას ბარათით ასევე შესაძლებელია ინტერნეტბანკის მონაცემების წვდომა; საბანკო ანგარიშის გახსნა; ყველა სახის გადასახადის გადახდა; ნოტარიული დამოწმება; ქონებისა და ორგანიზაციის რეგისტრაცია; ეროვნულ გამოცდაზე აბიტურიენტთა რეგისტრაცია; რეგისტრაციის ადგილის შეცვლა... ამასთან, ID ბარათის უკონტაქტო ინტერფეისი საშუალებას იძლევა ID გამოყენებულიქნას სხვადასხვა სახის ბარათის ნაცვლად. კერძოდ, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სამგზავრო ბარათი; ელექტრონული საფულე (ერთი ბარათი რამდენიმე საბანკო პლასტიკური ბარათის ნაცვლად); სახელმწიფო შეღავათები; დაზღვევის ბარათი; სტუდენტური ბარათი; სამსახურებრივი ბარათი...

# ა ნ ო ნ ს ი

ყოველი კვირის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს საღამოს 21 საათზე

ხობის კულტურის სასახლის წინამდებარე მოედანზე

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის ეგიდით

გაიმართება ,,ახალგაზრდული საღამო" (დისკოტეკა, პოეზიის წუთები, ახალგაზრდა შემოქმედთა დებიუტი, მხატვრულ ნამუშევართა გამოფენა)

წინადადებებისა და განცხადებებისათვის მიმართეთ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის ოფისს.

მისამართი: ცოტნე დადიანის ქუჩა №234 ტელ: 8414 22-23-96.

# მ ო ლ ო ც ვ ა

ჩვენს თანაკლასელს! უღალატო ძმას და ერთგულ მეგობარს ბატონ საშა არჩაიას ვულოცავთ საერო მეცნიერებათა აკადემიის „ფაზისის" ნამდვილ წევრად არჩევას.

*თანაკლასელთა სახელით*

*დინარი საბეკია, ნუნუ ბერაია, გულიკო ზაქარაია, ინეზა წურწუმია, ერეკლე ლატარია, გურამ ლატარია, შალვა ჯოჯუა, გურამ კვიკვინია (ფსიქოლოგიის აკადემიის დოქტორი).*

# 2011 წლის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში

15 აგვისტოდან ხობის მუნიციპალიტეტში სტარტს აიღებს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის 2011 წლის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებისა და ქალაქ ხობის გუნდები. რომლებიც გადანაწილდნენ შემდეგ ქვეჯგუფებში:

**A ჯგუფი**
1. ძველი ხიბულა
2. ახალი ხიბულა
3. საჯიჯაო
4. ბია

**C ჯგუფი**
1. შავღელე
2. პატარა ფოთი
3. ჭალადიდი
4. საგვიჩიო

**E ჯგუფი**
1. ქვემო ქვალონი
2. შუა ქვალონი
3. ახალსოფელი
4. ზემო ქვალონი

**B ჯგუფი**
1 თორსა
2. ხამისკური
3. ხეთა
4. პირველი მაისი

**D ჯგუფი**
1. ყულევი
2. შუა ხორგა
3. ქარიატა
4. პირველი ხორგა

**F ჯგუფი**
1. ხობი_1
2. ხობი_2\3. ნოჯიხევი
4. გურიფული

საფეხბურთო ტურნირის დასრულების შემდეგ დაიწყება ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხობის რაიონული ორგანიზაციის 2011 წლის თასის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში.

## გვწერენ

# წყლის პრობლემა მოგვიგვარეს



საქართველოში, ახლო წარსულის ცნობილი მოვლენების შემდეგ, სასმელი წყლის მიწოდება შეგვიწყდა. ჩვენს სოფელში ყოველთვის იყო წყლის პრობლემა და არეულობის შემდეგ ამ თემაზე საუბარიც ზედმეტი იყო.

არადა, რამდენ რამეს ნიშნავს წყალი რომაა ოჯახში, მითუმეტეს ქალბატონებისთვის, რომელთა ყოველდღიური საოჯახო საქმიანობა დაკავშირებულია წყალთან. ამ ბოლო პერიოდში კი ჭაშიც შრებოდა წყალი და ვწვალობდით.

მიმდინარე წლის დასაწყისში სოფლის ქალბატონები შევხვდით ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ იგორ ტყებუჩავას და ვთხოვეთ ყურადღება გაემახვილებინა ჩვენს გასაჭირზე და აღმოეჩინა დახმარება.

რამოდენიმე ხანში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში დაიწყო წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ზოგიერთ ადგილას მთლიანად გამოიცვალა წყლის მილები, ზოგ ადგილას შეკეთდა, შემენილიქნა მოსახლეობისთვის წყლის მრიცხველები. ხშირად ვხედავდით მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც თითქმის ყოველდღე თვალყურს ადევნებდა სამუშაოების მიმდინარეობას.

ამჟამად სამუშაოები დამთავრებულია, სოფელ ბიაში, კიტიას ნოხორის და ცენტრის მიმდებარე უბნებს წყალი ოცდაოთხსაათიანი რეჟიმით მოგვეწოდება, თუ არ არის რაიმე განსაკუთრებული ხელისშემშლელი ფაქტორი.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით, ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის მადლობა ვუთხრათ მუნიციპალიტეტის გამგებელს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მიიღო მონაწილეობა წყლის რეაბილიტაციის სამუშაოებში.

**ინგა ალექსანდრია.**

*სოფელი ბია.*

*დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.*

*გამომცემელი შპს „ხობის მოამბე"*

*სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შპს „ხობის მოამბეს" დირექტორი–მერი ლაგვილავა.*
*თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.*
*რედაქტორი–მანანა შულაია.*
*ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია, რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცატავა.*
*კომპიუტერული უზრუნველყოფა ჯულიეტა ლატარია.*

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში."
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 8 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში". თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.